აჭარა

გამოცემის 105-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№10 (25.188) 21 მარტი, 2025 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია წვიმა, მაღალ მთაში - თოვა, დასავლეთის მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 7-12, მთიან რაიონებში - 4-9, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 766 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

სამინისტროს პრიორიტეტები და სამომავლო გეგმები – დეპუტატებმა მინისტრის მოხსენება მოისმინეს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„მინისტრის საათის“ ფორმატში, უმაღლესი საბჭოს მორიგ პლენარულ სხდომაზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს მოუსმინეს, რომელიც დეპუტატების წინაშე სამინისტროს საქმიანობის ანგარიშით წარსდგა.

ნინო ნიჟარაძემ მათ გასულ წელს დანერგილი პროგრამული სიახლეების, მზარდი ბიუჯეტის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების შესრულების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, ასევე, ისაუბრა 2025 წელს დანერგილი სიახლეებისა და სამომავლო გეგმების შესახებ. მინისტრის ინფორმაციით, უწყების 2024 წლის ბიუჯეტი 99,5%-ით შესრულდა, ხოლო 2025 წლის ბიუჯეტი 23.9%-თაა გაზრდილი და 80 მილიონ 500 000 ლარს შეადგენს. მისივე ცნობით, სამინისტრო ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით - 44 მილიონ 255 460, ხოლო სოციალური დაცვის მიმართულებით 25 მილიონ 549 770 ლარს დახარჯავს.

- 2024 წელს განხორციელდა მნიშვნელოვანი პროგრამული სიახლეები, კერძოდ, 30%-ით გაიზარდა ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურების პროგრამის ბიუჯეტი, ხოლო თითოეული პაციენტის დაფინანსების წლიური ლიმიტი - 50 000 ლარამდე. უშვილობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამას ბენეფიციარებად დაემატა სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალი. დაიწყო ორგანოთა ტრანსპლანტაციის შემდგომი აუცილებელი კვლევების და თირკმლის ტრანსპლანტაციის შემთხვევაში - დონორისა და რეციპიენტის თავსებადობის განსაზღვრის საჭირო კვლევების დაფინანსება. დაიწყო შშმ სტატუსის მქონე 30 წლამდე ასაკის, 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირებისთვის სტომატოლოგიური სამედიცინო მომსახურების დაფინანსება. ასევე, დაიწყო ახალი პროგრამის - „აჭარის მაღალმთიანი სოფლის მოსახლეობისა და მემთეურთა ავადობის კვლევა“ განხორციელება. ამოქმედდება ახალი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს 120 000-დან 150 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველ ოჯახებში 16 წლამდე ასაკის ბავშვების ფინანსურ დახმარებას. 50 000 ლარამდე გაიზარდა ეკომიგრანტი ოჯახების თანადაფინანსების წილი. გაიზარდა სოფლის ექიმებისა და ექთნების სახელფასო დანამატი. აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო ექიმებს დანამატის სახით - 400 ლარს, მედდებს 250 ლარს ურიცხავს. გაიზარდა 100 წელს გადაცილებული მოქალაქეების, ასევე, ახალშობილი ტყუპების ოჯახების მატერიალური დახმარება. გაიზარდა „2008 წლის რუსული აგრესიისა და ავღანეთის სამშვიდობო მისიის (2007-2021 წწ) დროს დაღუპული და დაზიანების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მეომართა ოჯახების დახმარების“ პროგრამის ბიუჯეტი, ბენეფიციარებისთვის გასაცემი თანხის მოცულობა და მოსარგებლე პირთა არეალი. დასაქმების სააგენტოს პროგრამას დაემატა ახალი კომპონენტი - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მე-9, მე-10 კლასის მოსწავლეებისათვის საინფორმაციო ტურების ორგანიზება სასწავლებლებსა და კომპანიებში. 2025 წელს დაიწყო ფილტვის ტრანსპლანტაციის დაფინანსება, ასევე, გულის მძიმე დაავადების მქონე პაციენტებისთვის გულის სარქვლის ტრანსკათეტერული იმპლანტაციის (TAVI) დაფინანსება. შშმ სტატუსის მქონე მშობელთა და ორსულთა ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, თანხა, 2 000 ლარის ოდენობით, გაიცემა 3 წლამდე ასაკის ბავშვის, ნაცვლად ერთ წლამდე ასაკის ბავშვისა, შშმ სტატუსის მქონე მშობელზე და შშმ სტატუსის მქონე ორსულზე (22 კვირისა და მეტი ვადის ორსულობა), ასევე, ამავე ჰესტაციის ვადის მქონე ორსულის კანონიერ ქორწინებაში მყოფ მეუღლეზე, რომელსაც მინიჭებული აქვს შშმ სტატუსი. გარკვეული პროგრამების ბენეფიციარებს, რომელთა წლიური შემოსავალი 40 000 ლარი და მეტია, 3 000 ლარზე მეტი ღირებულების სამედიცინო მომსახურება 70%-ით უფინანსდებათ. თარგენტული, იმუნოთერაპიული და ბისფოსფო-ნატების ჯგუფის მედიკამენტების დაფინანსება გაიზარდა 70 ათას ლარამდე, - აღნიშნა მოხსენების წარდგენისას მინისტრმა.

ნინო ნიჟარაძემ მასშტაბური სამედიცინო ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებაზეც გაამახვილა ყურადღება, კონკრეტულად კი №1 პოლიკლინიკისა და ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მშენებლობაზე. მინისტრის ინფორმაციით, 2024-2025 წლებში სამინისტროს პროგრამებით, ჯამში, 90 946-მა მოქალაქემ ისარგებლა, მათ შორის: ჯანმრთელობის დაცვის სერვისით 38 322-მა მოქალაქემ, სოციალური დაცვის სერვისით - 10 981-მა მოქალაქემ, საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამებით - 24 450-მა მოქალაქემ, ხოლო დასაქმების ხელშეწყობით - 17 193-მა მოქალაქემ.

ნინო ნიჟარაძის განცხადებით, ჯანდაცვის სფერო მზარდი და სწრაფად განვითარებადი სფეროა, სადაც მუდმივად ინერგება ახალი, ინოვაციური ჩარევები, რომელთა თვითღირებულება საკმაოდ მაღალია. შესაბამისად, მიაჩნია, რომ სამინისტროს მთავარი ამოცანა ახალ სერვისებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობა და მათთვის ფინანსური რისკების შემცირებაა. მისივე განმარტებით, აღნიშნული განსაკუთრებით ონკოლოგიური მიმართულებით პაციენტებს ეხებათ.

- ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ და გავატაროთ ის სტრატეგია და პოლიტიკა, რომელიც ქვეყნის მასშტაბით მუშაობს და მოქალაქისთვის ღირსეულ გარემოში ცხოვრებას ემსახურება. აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო არის გამტარებელი და ხელმშეწყობი ყველა იმ გზავნილის, რომელიც მოდის ცენტრალური ხელისუფლებისგან. მოგეხსენებათ, ჩვენს ქვეყანაში მუშაობს უნივერსალური საყოველთაო პროგრამა, მისი თანადაფინანსება და ის სერვისები, რომლებიც ამ პროგრამით არ არის დაფარული, გახლავთ აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს პრიორიტეტი, ჩვენი სამოქმედო არეალი. ასევე, ჩვენთვის პრიორიტეტულია სტიქიური მოვლენებით დაზარალებული ოჯახების დახმარება. მოგეხსენებათ, მაღალმთიანი აჭარა უფრო მეტად არის დაზიანებული ამ კუთხით, ამიტომ ჩვენთვის მთავარია ამ ოჯახებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა. პროგრამაში უკვე 7 მილიონზე მეტი გამოიყო და 150 ოჯახს დავეხმარებით. საჭიროების შემთხვევაში, თუ მოხდა უფრო მეტი დოკუმენტაციის შემოტანა, რა თქმა უნდა, მზარდი ხასიათი ექნება დახმარებას, ვინაიდან ბიუჯეტის მოქნილობა გვაძლევს ამის საშუალებას, - აღნიშნა ნინო ნიჟარაძემ.

მინისტრის მოხსენება დეპუტატებმა დადებითად შეაფასეს და უწყებას მომავალშიც ეფექტური და საზოგადოების საჭიროებებზე მორგებული მუშაობა უსურვეს.

რაც შეეხება „მინისტრის საათის“ შემდგომ განრიგს, უმაღლესი საბჭოს წინაშე 17 აპრილს აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე წარსდგება. 15 მაისს დეპუტატები როგორც აჭარის განათლებისა და სპორტის მინისტრ მარია ხაჯიშვილს, ასევე, კულტურის მინისტრ ელისო ბოლქვაძეს მოუსმენენ, ხოლო 19 ივნისს - აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრ ჯაბა ფუტკარაძეს.

პლენარულ სხდომაზე, უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების შესახებ მოხსენებით დეპუტატების წინაშე ასევე წარსდგა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონია.

ურთიერთბრალდებები ოპოზიციაში და დაყადაღებული ფონდები

2

ქალბატონი, რომელიც 300-ზე მეტ ძაღლს პატრონობს

9

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲧᲐᲓᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲝᲜᲓᲔᲑᲘ

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲚᲐᲛᲞᲐᲠᲐᲫᲔ 595 85 80 06

ოპოზიციაში ერთგვარმა გაურკვევლობამ დაისადგურა. პრეზიდენტობის პერიოდში და შემდეგაც სალომე ზურაბიშვილი ოპოზიციას ორბელიანების სასახლიდან მრგვალ მაგიდასთან, მოსალაპარაკებლად და გასაერთიანებლად ეპატიჟებოდა, თუმცა ამ კვირაში მისივე განცხადებიდან გაირკვა, რომ „ერთიანობა არის ის გარედან შემოგზავნილი თემა, რომელიც მიუღწევადია“

„არასოდეს ყოფილა ჩემი მიზანი ოპოზიციის გაერთიანება, ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვთქვა, რომ გაერთიანება ნიშნავს, რომ ჩვენ ვამზადებთ მომავლისთვის კიდევ ერთხელ, ერთპარტიულ მმართველობას. მე მგონი, გვეყოფა აქამდე რა გამოცდილებაც მივიღეთ. მე ვამზადებ, და ვარ საკმაოდ ოპტიმისტური ამ მიმართულებით, ძლიერ კოორდინაციას. ძლიერი კოორდინაცია არის ის, რაც უძლებს ყველაფერს და ყალბი გაერთიანება არის ყველაზე მოწყვლადი“, - განაცხადა ერთ-ერთი რეგიონალური მაუწყებლის ეთერში სალომე ზურაბიშვილმა.

რა გასაკვირია, რომ ამ განცხადების შემდეგ ოპოზიციონერების საუბრის ტონი სალომე ზურაბიშვილის მიმართ შეიცვალა. იგი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებისთვის ერთადერთ ლეგიტიმურ ლიდერს წარმოადგენდა, თუმცა, როგორც ჩანს, მათი ნაწილი დღეს სალომე ზურაბიშვილს პრეზიდენტს აღარ უწოდებს და აღარც მის მიმართ საჯარო კრიტიკას ერიდება. „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილ თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილს თუ დავუჯერებთ, მას სალომე ზურაბიშვილი აღარ აინტერესებს. „არ ვიცი, რას საუბრობს სალომე ზურაბიშვილი - არ მაინტერესებს, ეს ადამიანი, აღარ არის პრეზიდენტი“, - განაცხადა ხაბეიშვილმა.

სალომე ზურაბიშვილზე განაწყენებულია, ასევე, ხაბეიშვილის თანაპარტიელი და ამჟამად თავმჯდომარე თინა ბოკუჩავა, რომელიც მიხეილ სააკაშვილი რომ დღეს ციხეში ზის, ამაზეც ზურაბიშვილს აკისრებს პასუხისმგებლობას.

„დღეს მინდა კიდევ ერთხელ გამოვეხმაურო პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის გადაწყვეტილებას, არ შეეწყალებინა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. სალომე ზურაბიშვილმა, არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, საერთაშორისო აქტორების, მათ შორის, ევროპარლამენტის მხრიდან კონკრეტული მოწოდების მიუხედავად, რომ შეეწყალებინა პრეზიდენტი სააკაშვილი, არ გამოიყენა მის ხელთ არსებული კონსტიტუციური შეწყალების ბერკეტი. ამიტომ დღეს სალომე ზურაბიშვილიც იზიარებს პასუხისმგებლობას ამ ისტორიულ უსამართლობაზე ივანიშვილის რუსულ რეჟიმთან ერთად“, - განაცხადა თინა ბოკუჩავამ.

როგორც აღმოჩნდა, „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“ სალომე ზურაბიშვილს ვერც იმას პატიობს, რომ კონსულტაციების მიუხედავად, საერთო ოპოზიციური ერთობა ვერ შედგა, მეტიც - ოპოზიციონერი, ყოფილი პარლამენტარი გუბაზ სანიკიძე, რომელმაც სულ რომ რამდენიმე დღის წინ ზურაბიშვილს „თამარ მეფე ორი“ უწოდა, აცხადებს, რომ ყველა წარუმატებლობაზე პასუხისმგებელი სალომე ზურაბიშვილია. როგორც ჩანს, გუბაზ სანიკიძისთვის პოზიციების ასეთი მკვეთრი ცვლილება მაინცდამაინც რთული არაა.

საარჩევნო ორთაბრძოლის პერიოდში კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება ოპოზიციის მთავარი დაპირება იყო. მაშინ სალომე ზურაბიშვილმა მომავლის ქარტია - „ერთობის პლატფორმა ევროპისთვის“ შექმნა, მაგრამ ფაქტია, ამან შედეგი ვერ გამოიღო. მეტიც, ენმ-ში ფიქრობენ, რომ შესაძლოა, სალომე ზურაბიშვილმა ცალკე პარტია ჩამოაყალიბოს და, სწორედ, „თანამებრძოლებს“ დაუპირისპირდეს.

ერთმანეთთან დაპირისპირება და პოზიციის ცვლილებები არ უკვირთ მმართველ გუნდში. „ოცნებაში“ ამბობენ, რომ ოპოზიცია კრიზისშია და მათ გაერთიანებას ვერც სალომე ზურაბიშვილი მოახერხებს.

„არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, რადიკალები ცალ-ცალკე იქნებიან, თუ გაერთიანებულები. რა თქმა უნდა, მათ პატრონებს სურვილი ჰქონდათ, რომ რაღაც ერთი პლატფორმა შექმნილიყო, ყველა ყოფილიყო გაერთიანებული, თუმცა, ცხადია, ეს არ გამოსდით. ისინი ერთმანეთის ლანძღვაში ატარებენ დროს. პირდაპირ ვიტყვი, ამას ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს იმიტომ, რომ მათ, როგორც გაერთიანებულებს, ასევე დაშლილებს, არანაირი შანსი არ აქვთ, პოლიტიკურ ველზე მიაღწიონ რაიმე წარმატებას“, - აცხადებს „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი კახა კალაძე.

საკითხს ეხმაურებიან აჭარაში მოღვაწე პოლიტიკოსებიც.

„ხალხის ძალის“ წარმომადგენელი, ბათუმის საკრებულოს წევრი ნინო ცხვარაძე ამბობს, რომ ოპოზიციის ერთობა ფასადური იყო.

- ვთვლი, რომ ოპოზიციის ერთობა თავის დროზე იყო ფასადური. არამხოლოდ ბოლო მოვლენებმა გვაჩვენა, რომ პოლიტიკურ სუბიექტებს მხოლოდ საკუთარი ვიწრო ინტერესი ამოძრავებთ. ზურაბიშვილი კონკრეტულ მომენტში იყო მათთვის საჭირო და ასეთი „ერთობა“ ყოველთვის კრახით სრულდება, - განაცხადა ჩვენთან საუბარში ნინო ცხვარაძემ.

„ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, ბათუმის ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი კახა მიქელაძე კი ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, რომ სალომე ზურაბიშვილთან ოპოზიციას აქვს ბევრი პრეტენზია.

- ენმ ყოველთვის ვგრძნობთ საზოგადოების მაჯისცემას და ვაცნობიერებთ პასუხისმგებლობას, ამიტომ არჩევნებამდეც და შემდეგაც გახლდით ერთობის მთავარი ინიციატორები ოპოზიციურ ველზე. ახლაც, როცა მიხეილ სააკაშვილი და, მასთან ერთად, ათობით პოლიტპატიმარია ქვეყანაში, ვთვლით, რომ პარტიები დროებით უნდა გადაეწყონ წინააღმდეგობის მოძრაობის ფორმატზე, რადგან საპროტესტო ბრძოლის ადრესატი რუსული მარიონეტული რეჟიმია. შესაბამისად, იგივე ვრცელდება ქალბატონ ზურაბიშვილზეც. მასთან არის ბევრი პრეტენზია, როგორც სხვებთან, თუმცა მას მიეცა პროცესის სიტუაციური მართვის შანსი, რასაც ის ფლანგავს. ერთი მხრივ, მიგვაჩნია, რომ ერთობა აუცილებელია, რადგან მსგავსი რეჟიმები

ეროვნული წინააღმდეგობის ფორმატში მარცხდებიან, მეორე მხრივ კი - ვინც ვერ აცნობიერებს მდგომარეობის სიმძიმეს (მათი პოზიციონირება ემთხვევა კრემლის პროპაგანდას), პროცესს აზიანებს. ამის ლაკმუსია მიხეილ სააკაშვილის როლისა და მისი არნახული დევნის შეფასებებში სირაქლემის პოზაში ყოფნა. ეს პრობლემა ნაკლებადაა ბათუმში, სადაც ოპოზიციურ პარტიებს, არასამთავრობებსა თუ სამოქალაქო აქტივისტებს ძალიან კარგი კომუნიკაცია და თანამშრომლობის ფორმატი გვაქვს, რაც ცალსახად პოზიტიურია, - გვითხრა კახა მიქელაძემ.

მიმდინარე კვირაში განხილვის საგანი გახდა 5 დაყადაღებული ფონდი, საიდანაც, ჯამში, 2 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. ფონდების ანგარიშები „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ წევრ ვატო შაქარაშვილის ჩვენების საფუძველზე დააყადაღეს.

საქართველოს პროკურატურის გამოძიების თანახმად, გამოძიების ფარგლებში დეტალურად შეისწავლეს იურიდიული და ფიზიკური პირების საბანკო ტრანზაქციები. გამოძიების ინფორმაციით, ტრანზაქციების დროს დანიშნულებაში პირდაპირაა მითითებული, რომ ფონდები ახალისებდნენ კანონდარღვევებს, ყიდულობდნენ სხვადასხვა აღჭურვილობას საპროტესტო აქციებისთვის და დემონსტრანტებისთვის. დაყადაღებულ ფონდებს შორისაა: „ნანუკას ფონდი“, „ფროსფერი თი“, „ფონდი ერთმანეთისთვის 24/7“, „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი“, „სირცხვილია“. ფონდების ნაწილი საგამოძიებო უწყებას ცილისწამებაში ადანაშაულებს, ხოლო ნაწილი ფონდის დაყადაღების მიზეზების დასადგენად სასამართლო განჩინებას მოითხოვს.

ოპოზიცია აღნიშნულს მიმდინარე პროტესტის ჩახშობის მცდელობად აცხადებს. ხელისუფლების ოპონენტები მიიჩნევენ, რომ ეს ფონდები არათუ კანონს არღვევდნენ, არამედ უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოების დახმარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ, ამიტომ დაყადაღება მათთვის პოლიტიკურ ინტერესს ატარებს.

„პროტესტი ნერვებს უშლის „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას და ცდილობს, რომ სხვადასხვა მეთოდით ამოქოლოს. ამოქოლვის ერთ-ერთი გზა იყო სწორედ ფონდების დაყადაღებაც“, - მიაჩნია კოალიცია „ლელო - ძლიერი საქართველოს“ პოლიტსაბჭოს წევრ ფიქრია ჩიხრაძეს.

თავის მხრივ მმართველი გუნდის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ფონდების საქმიანობა უნდა იყოს გამჭვირვალე.

„ვფიქრობ, რომ ნებისმიერი ფონდი უნდა იყოს გამჭვირვალე, სრული ინფორმაცია უნდა ჰქონდეს საზოგადოებას, რას და რისთვის აკეთებს. შეიძლება, კეთილი საქმის კეთების პარალელურად, აკეთებდეს ისეთ რამეს, როგორიც არის წახალისება დესტრუქციული მოქმედებების, დესტაბილიზაციის პროცესების და ეს არ არის გამონაკლისი. განსაკვირი არაფერი იქნება იმაში, რომ სწორედ ასეთი საკითხები იქნეს გამოაშკარავებული. ასევე, ფონდებს, რასაკვირველია, სჭირდება შესაბამისი დაფინანსება და ამ წყაროებთან დაკავშირებითაც უნდა იყოს ღია ინფორმაცია. როდესაც ამ საკითხებთან მიმართებაში ფონდი პირდაპირ არის ჩართული გარკვეული პოლიტიკური პროცესების განვითარებაში, მით უმეტეს, თუ ეს არის იმ სცენარის ნაწილი, რასაც რევოლუცია ჰქვია, რასაკვირველია, დამატებით ყურადღებას იმსახურებს,“ - აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში საქართველოს პარლამენტის პირველმა ვიცესპიკერმა გია ვოლსკიმ.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

გაზეთ „აჭარის“ 104 წლის იუბილე ტრადიციულად, ტორტით, ყველა თანამშრომელ მანდილოსანს - ულამაზესი თაიგულით, საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციის ხელმძღვანელმა, თურქეთ-საქართველოს ბიზნესსაბჭოს თავმჯდომარე ოსმან ჩალიშქან მჟავანაძემ მოგვილოცა. მადლობა მას დაფასებისა და საჩუქრისთვის.

* * *

აჭარის განათლების და სპორტის სამინისტროს ინფორმაციით, ბათუმში ახალი საგანმანათლებლო სივრცე - Skillwillstem გაიხსნა. სივრცე განკუთვნილია 12-15 წლის მოზარდებისთვის და მიზნად ისახავს კრიტიკული აზროვნების, ლოგიკური მიდგომებისა და გუნდური მუშაობის უნარების განვითარებას. მოსწავლეები ინჟინერიას, რობოტიკას, მათემატიკასა და სხვა ტექნოლოგიურ დისციპლინებს ინტერაქტიული მეთოდებით შეისწავლიან.

* * *

დაბა ხულოს მიმდებარე სოფელ ვაშლოვანში ახალი სკოლისა და საცხოვრებელი კამპუსის მშენებლობა მიმდინარეობს. აჭარის განათლებისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა, მინისტრის პირველმა მოადგილე ჯემალ სურმანიძემ, ხულოს მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ჯამბულატ მელაძემ, ხულოს რესურსცენტრის ხელმძღვანელმა რამაზ გელაძემ და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერეს. პროექტის მიხედვით, უკვე ორი კორპუსი აშენდა: სკოლის სამსართულიანი შენობა, რომელიც გათვლილია 350 მოსწავლეზე და საცხოვრებელი კამპუსი - 150 მოსწავლისთვის. ახალი სკოლა იქნება სრულად ადაპტირებული, ენერგოეფექტური, განთავსდება ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ოთახი, სააქტო და სპორტული დარბაზები - სამაყურებლო აივნით. სკოლის ღია მოედანს ჩაუტარდება სრული რეაბილიტაცია. პროექტის ღირებულება 9 726 074 ლარია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები.

* * *

მუნიციპალური ინსპექცია მიუსაფარ ცხოველებზე მონიტორინგს შპს „რესიკაბთან“ ერთად ახორციელებს, რომელთანაც ბათუმის მერიას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული. უწყების ინფორმაციით, მიმდინარე წელს 900-მდე უპატრონო შინაურ ცხოველს სტერილიზაცია, კასტრაცია, ვაქცინაცია, რევაქცინაცია უკვე ჩაუტარდა. მათივე განცხადებით, დაბირკული და უვნებელი მიუსაფარი ცხოველი, კანონის შესაბამისად, პირველად არეალს დაუბრუნდება. მიუსაფარ ცხოველებზე მონიტორინგი, წლის ბოლომდე, უპატრონო ძაღლებისა და კატების, სულ 4700 ცხოველის, მოვლა-პატრონობას ითვალისწინებს.

* * *

ბათუმის წყლის ინფორმაციით, ტბების წყლის ეკოლოგიური მდგომარეობის შესამოწმებლად, არდაგანისა და ნურის ტბებს ყოველთვიურად ლაბორატორიული კვლევა უტარდება. წყლის სინჯების აღებასა და მათ ქიმიურ-ბაქტერიოლოგიურ კვლევას „ბათუმის წყლის“ ლაბორატორია უზრუნველყოფს. ტბების მექანიკური გაწმენდითი სამუშაოები ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდება.

* * *

აჭარის დასაქმების სააგენტოს ორგანიზებით, „საზღვაო სფეროში დასაქმების ხელშეწყობის“ პროგრამის შედეგების შემაჯამებელი ღონისძიება და მსმენელთა სერტიფიკატებით დაჯილდოება გაიმართა, რომელსაც აჭარის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ილია ვერძაძე, ასევე, უმაღლესი საბჭოს, ადგილობრივი თვითმმართველობისა და აჭარის განათლების სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. როგორც შეხვედრაზე ითქვა, პროგრამის მიზანი, საზღვაო ინდუსტრიაში, კერძოდ, სამგზავრო გემებზე, ქართველი კადრებისთვის, მიმტანისა და ბართენდერის პროფესიების დაუფლების ახალი შესაძლებლობებია. პროგრამის ფარგლებში პროფესიული სწავლება საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად შემუშავებული სპეციალური მოკლევადიანი კურსით განხორციელდა. დასაქმების სააგენტოს ხელმძღვანელ თეიმურაზ კახიძის განცხადებით, პროექტი მესამე წელია წარმატებით ხორციელდება და საერთაშორისო კომპანიების მხრიდან, აღნიშნული პროგრამით გადამზადებული კადრების მიმართ, მათი დასაქმების თვალსაზრისით, დაინტერესება დიდია.

* * *

„ბათუმელებისა“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებელი მზია ამაღლობელი, ადმინისტრაციულ საქმეზე, ბათუმის საქალაქო სასამართლომ სამართალდამრღვევად ცნო და მას 2000-ლარიანი ჯარიმა დააკისრა. გადაწყვეტილება მოსამართლე სალიხ შაინიძემ გამოაცხადა. ცნობისთვის: მზია ამაღლობელი 11 იანვარს ბათუმში, აქციაზე, თავდაპირველად ადმინისტრაციული წესით დააკავეს შსს-ს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ღობეზე სტიკერის გაკვრისთვის: „იფიცება საქართველო“. მზია ამაღლობელი 11 იანვარს ხელმეორედ დააკავეს უკვე სისხლის სამართლის წესით, პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით. აღნიშნული საქმის განხილვა სასამართლოში ცალკე პროცესად მიმდინარეობს.

„საქართველო მაქსიმალურად უნდა შეეცადოს, არ ამოვარდეს საერთაშორისო მოცემულობიდან“

ირმა ცეცხლაძე 577 20 45 63

„11 მარტს, საუდის არაბეთის ქალაქ ჯიდაში, უკრაინულ და ამერიკულ დელეგაციებს შორის ჩატარებულ შეხვედრას კიევი პოზიტიურად აფასებს, თუმცა რუსეთი აცხადებს, რომ კომპრომისი მხოლოდ მისი პირობების დაკმაყოფილებით მოხდება. ევროპელი ლიდერები აღნიშნავენ, რომ „ბურთი რუსეთის მოედანზეა“ და ახლა მხოლოდ კრემლზეა დამოკიდებული, დასრულდება თუ არა ომი უკრაინაში. საუდის არაბეთში კიევისა და ვაშინგტონის წარმომადგენლების 8-საათიანი შეხვედრის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ უკრაინამ მიიღო აშშ-ის მიერ შეთავაზებული წინადადება, რომელიც 30-დღიან ცეცხლის შეწყვეტას გულისხმობს

გავრცელებული ინფორმაციით, დონალდ ტრამპი ვოლოდიმირ ზელენსკის თეთრ სახლში ხელახლა უმასპინძლებს. თუ გავიხსენებთ, 28 თებერვალს ტრამპისა და ზელენსკის შეხვედრამ როგორი ხმაურის ფონზე ჩაიარა (ტრამპმა ზელენსკის თეთრი სახლის დატოვება მოსთხოვა და მოგვიანებით „დიქტატორიც“ უწოდა), ახალი შეხვედრის გარშემო ინტერესი კიდევ უფრო იზრდება.

ამ და სხვა საკითხებზე გთავაზობთ ინტერვიუს პოლიტოლოგ ***ასლან ლორთქიფანიძესთან*** *ექსკლუზიურად გაზეთ „აჭარისთვის“.*

- თუ შეიძლება, საუბარი დავიწყოთ ტრამპისა და ზელენსკის პირველი შეხვედრით, როგორ დააკომენტარებდით მათ საუბარს?

- ოვალურ კაბინეტს არ ახსოვს მსგავსი შემთხვევა. ასეთი პოლემიკა, როგორც წესი, იმართება დახურულ შეხვედრებზე. თუმცა ამ შემთხვევამ საზოგადოების ფართო წრეს ნათლად აჩვენა, როგორი მკაცრია საერთაშორისო პოლიტიკა და როგორია დიდი და პატარა სახელმწიფოების ინტერესთა ჭიდილის სახე. დიდ ქვეყანასთან შედარებით პატარა ქვეყანა, მოლაპარაკებების პროცესში, ვერ გახდება მისი თანასწორი და მოუწევს ისეთ დათმობებზე წასვლა, რომელიც მის ნაციონალურ ინტერესებს ეწინააღმდეგება. ამგვარ პროცესში მას ზურგს უნდა უმაგრებდნენ სხვა დიდი აქტორები.

- ტრამპი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ არ მიაჩნდა ზელენსკი გმირად. როგორ ფიქრობთ, რის მიღწევა სურდა ამ მხრივ ამერიკის პრეზიდენტს?

- პოლიტიკოსების პოპულარობა და რეგრესი ერთმანეთს ენაცვლება. ზელენსკის პოპულარობის ზენიტში ვამბობდით, რომ მის პოლიტიკას წარმატება ვერ ექნებოდა. ამ აზრს გვითვლიდნენ „პრორუსულ ნარატივად“. საქართველოში მიგვაჩვიეს აღთქმებით ცხოვრებას და დაგვავიწყეს რეალობის შეგრძნება. ეს არასამთავრობო ორგანიზაციების მრავალათეულმილიონიანი უცხოური გრანტების ხარჯვამ გამოიწვია. მათი საქმიანობის შეფასება ვრცელი თემაა და მასზე მოგვიანებით შეგვიძლია, უფრო დაწვრილებით ვისაუბროთ. უკრაინამ ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა, როცა კონსტიტუციიდან ამოიღო ნეიტრალიტეტი და ნატოში ინტეგრაცია განიზრახა. ფორმალურად, ნებისმიერი სახელმწიფოს სუვერენული უფლებაა, გაწევრიანდეს ამა თუ იმ სახელმწიფოთა ერთობაში, თუნდაც ეს იყოს სამხედრო ბლოკი, თუმცა არსებობს მისი პოლიტიკური, გეოპოლიტიკური კონტექსტი, რომლის გაუთვალისწინებლობას სახელმწიფოებისთვის მოაქვს ისეთი კატასტროფული შედეგები, როგორიც უკრაინამ იწვნია. უკრაინა ევროპის ყველაზე დიდი ქვეყანა იყო 45-მილიონიანი მოსახლეობით. ამავდროულად, იგი რუსეთის სახმელეთო მეზობელია, უმდიდრესი ნიადაგითა და ბუნებრივი რესურსებით გამოირჩევა. რუსეთისთვის უკრაინის გაწევრიანება კონკურენტ ნატოს სამხედრო ბლოკში წარმოადგენს მისი უსაფრთხოების პრობლემას და ამას არასდროს დაუშვებდა, არც მომავალში დაუშვებს. ეს დაადასტურა პრეზიდენტმა ტრამპმაც. კანადა ან მექსიკა თუ განიზრახავს აშშ-ის კონკურენტ რუსულ ან ჩინურ სამხედრო ბანაკში გაწევრიანებას, ზუსტად იმ შედეგს მიიღებს, რაც უკრაინას დაატყდა თავს - აშშ-ის სამხედრო ინტერვენცია გარდაუვალი იქნება. ზელენსკის და მისი წინამორბედი სხვა მმართველების შეცდომა იყო რუსეთსა და დასავლეთს შორის გეოპოლიტიკური ბალანსის დარღვევა. ამ ქმედებამ არა მარტო უკრაინას, არამედ მთელ მსოფლიოს მოუტანა არასტაბილურობა, მოარღვია ისედაც მყიფე საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა და ყველა ქვეყნის ნომერ პირველი ამოცანა გახდა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სამხედრო ბიუჯეტის ზრდა. ეს მძიმე დარტყმას მიაყენებს მსოფლიო ეკონომიკას, რომლის ნაწილი საქართველოცაა. უკრაინის ბუნებრივი რესურსების აშშ-ის საკუთრებაში გადაცემით აშშ-ის პრეზიდენტს სურს იმ დანახარჯების ამოღება, რომელიც უკრაინის ომის დაფინანსებით გაიღო და თან ისე, რომ ვერ აიღებს უკრაინის დაცვაზე პასუხისმგებლობას, ხოლო ზელენსკის სურს, ეს სიმდიდრე უკრაინას დარჩეს და მისი მოპოვებიდან მიღებული მოგების ნახევარი აშშ-ს გაუყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აშშ უზრუნველყოფს

უკრაინის უსაფრთხოებას. ტრამპი-ზელენსკის დაპირისპირებაც ამ განსხვავებულ ინტერესებს უკავშირდება, თუმცა, როგორც იცით, მიაღწიეს შეთანხმებას და ახლა რუსეთის სიტყვას ელოდებიან.

- საკმაოდ განსხვავებული აზრები დააფიქსირეს ამ კუთხით ევროპის ქვეყნებმაც. როგორ ფიქრობთ, მიაღწევენ შეთანხმებას ომის შეწყვეტაზე?

- ომმა, უკრაინის შემდეგ, ყველაზე დიდი ზიანი ევროკავშირს მიაყენა. მან დროებით დაკარგა იაფი, რუსული ენერგორესურსები, რომლებიც უზრუნველყოფდა მის მიერ წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას. სამხედრო ხარჯებიც მძიმე ტვირთად დააწვა წევრი ქვეყნების ეკონომიკებს. მათი ერთობლიობის შედეგად, ევროკავშირის ეკონომიკა თითქმის აღარ იზრდება. აფრიკელ და ახლო აღმოსავლეთის მიგრანტებს შეუერთდა უკრაინელი მიგრანტების დიდი ტალღაც. ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის გაიზარდა აზრთა სხვადასხვაობა. ამ მიზეზების შედეგია ის, რომ ევროკავშირის მონაწილეობა უკრაინის სამშვიდობო მოლაპარაკებებში მეორეხარისხოვანი ფუნქციის მატარებელია. ომი შეწყდება, თუმცა მისი შედეგები უკრაინისთვის ძალიან მძიმე იქნება. ფაქტია, რომ ის დაკარგავს ტერიტორიების ნაწილს და ნატოში მისი გაწევრიანება ვერ მოხერხდება. მიუხედავად დაპირებებისა, რთული იქნება მისი ევროკავშირში გაწევრიანებაც. უკრაინის აღდგენას კოლოსალური თანხები სჭირდება და ამ თანხების გაღების საკითხზე ევროკავშირის ქვეყნებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ.

- როგორ დაახასიათებთ ტრამპისა და პუტინის ურთიერთობას ამ ეტაპზე?

- ტრამპი არცთუ უსაფუძვლოდ თვლის, რომ მისი მთავარი გეოპოლიტიკური კონკურენტი ჩინეთია. მისი გათვლაა, რუსეთთან აშშ-ის დაახლოების გზით, რუსეთი იქცეს ჩინეთის პირველადი შეკავების ფუნქციის მატარებლად. რუსეთი ჩინეთისთვის მართლაც წარმოადგენს ბუნებრივ წინაღობას დასავლეთით გავლენის გაფართოების მიმართულებით, მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ქვეყანა ერთმანეთთან პარტნიორულ ურთიერთობაშია. უკრაინის ომმა ბიძგი მისცა მსოფლიო ჰეგემონობისთვის მსწრაფ სახელმწიფოებს შორის გავლენის სფეროების ხელახალ გადანაწილებას. ახლა ეს ისტორიული პროცესი მიმდინარეობს.

- რა პოზიციას იჭერს ჩვენი ხელისუფლება მთელ ამ ქაოსში?

- დრომ აჩვენა, რომ საქართველოს ხელისუფლების თავშეკავება უკრაინის კონფლიქტის დროს იყო სწორი ნაბიჯი და ამ პოლიტიკამ საქართველოს მოუტანა მშვიდობა და ეკონომიკური განვითარება. დასავლელი აქტორების ნაწილს სურდა, ჩვენ „წავშველებოდით“ უკრაინას და ისეთივე შესაწირი პაიკი ვყოფილიყავით, როგორადაც მოგვიანებით უკრაინა აქციეს. ჩვენ შევუერთდით საერთაშორისო სანქციებს, თუმცა არ დავაწესეთ რუსეთთან ეროვნული ანუ დამატებითი ეკონომიკური სანქციები. ეს ჩვენს ეკონომიკას შეუქმნიდა პრობლემებს. უკრაინელებს გავუგზავნეთ (1 სულ მოსახლეზე) ყველაზე მეტი ჰუმანიტარული დახმარება, რუსეთის წინააღმდეგ არაერთი საერთაშორისო სარჩელის თანასპონსორი ვიყავით, თუმცა არ უზრუნველვყავით ქართველი მოხალისეების საქართველოს აეროპორტებიდან ორგანიზებული გაგზავნა, არც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დავიწყეთ სამხედრო მოქმედებები, რომლისკენაც ზოგიერთი უცხოელი პოლიტიკოსი მოგვიწოდებდა. ამ ქმედებების განხორციელება ჩვენი ომში ჩართვის მაპროვოცირებელი იქნებოდა.

- „ოცნების“ თითქმის ყველა პროგნოზი და დამოკიდებულება გამართლდა. ამერიკის პრეზიდენტი მწყრალად უყურებს ევროპას, რამდენად არის ამაზე დამოკიდებული საქართველოს სამომავლო ევროინტეგრაცია?

- საქართველოსთვის უალტერნატივოა დივერსიფიცირებული საგარეო პოლიტიკა. ქართველი ერი და საქართველო, როგორც სახელმწიფო, ამგვარმა ბალანსმა გადაარჩინა. ჩვენ მსოფლიო თუ რეგიონალურ მოთამაშეებთან იმგვარი საგარეო პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ, რომლითაც ერთმანეთს დავაბალანსებთ. საქართველოს ხელისუფლება ამ ობიექტურ მოცემულობას ადეკვატურად პასუხობს. საქართველო პატარა ქვეყანაა, ჩვენ გადარჩენისთვის ვიბრძვით საუკუნეების განმავლობაში. ნატოში საქართველოს გაწევრიანება ძალიან კარგი საშუალება იქნებოდა უსაფრთხოების, ინვესტიციებისა და, შესაბამისად, ეკონომიკური წინსვლისთვის. ჩვენ ეს სურვილი კონსტიტუციაშიც ავსახეთ, თუმცა ნატოში საქართველოს ინტეგრაციის პროცესმა არ უნდა მოგვიტანოს უკრაინის მსგავსი შედეგი, რადგან ეს შესაძლებლობის ფანჯარა ამ ქვეყნისთვის დაიხურა და ამ პროცესმა, უსაფრთხოების ნაცვლად, ნგრევა, ტერიტორიების დაკარგვა და ქვეყნიდან მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია მოიტანა. საქართველოს მოუწევს ნატოსთან თანამშრომლობა მასში გაწევრიანების გარეშე. დღევანდელი გეოპოლიტიკური მოცემულობა სხვა გზას არ ტოვებს. ნატო მზად არ არის საქართველოს მისაღებად, ანუ არ აქვს შესაბამისი გეოპოლიტიკური სიმძლავრეები და დიდი ხნის განმავლობაში ასე გაგრძელდება. არავინ იცის, მომავალში რა ბედი ელის ამ სამხედრო ბლოკს, თუ მას აშშ დატოვებს. ევროკავშირი, ძირითადად, ეკონომიკურ საფუძველზე მდგარი ორგანიზაციაა. საქართველო ამ ორგანიზაციასთან ურთიერთობით დაინტერესებულია. ევროპარლამენტის გადაწყვეტილებით, ევროინტეგრაციის პროცესი შეჩერებულია, თუმცა ეს დროებითი გადაწყვეტილებაა. ძალიან ბუნდოვანია ევროკავშირის ამ ფორმით არსებობის მომავალი, თუმცა საქართველო ამ კონტინენტის ნაწილია და ევროპულ ქვეყნებთან კარგი ურთიერთობები ჩვენს ინტერესებშია. ჩვენი სატრანზიტო ფუნქციის სრულფასოვნად გამოყენება შეუძლებელია ევროკავშირისა და ჩინეთის ტვირთბრუნვის გარეშე. საქართველო ყოველთვის მზად იქნება ევროკავშირში გასაწევრიანებლად, თუ მსგავსი სურვილი და შესაძლებლობები ევროკავშირს ექნება. უკრაინის მოვლენები ევროკავშირის გაფართოებაზე უარყოფითად აისახება, თუმცა საქართველოს სომხეთთან ერთად შეუძლია ევროკავშირთან მჭიდრო კავშირების დამყარება. ევროკავშირის დღევანდელი მმართველი რგოლი შეიცვლება, რადგან მათი პოლიტიკა მთლიანად მოწყვეტილია რეალურ საფუძველს. ამიტომაცაა, რომ მათთან აშშ-ის პრეზიდენტი არ ურთიერთობს და კავშირი მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობებთან აქვს. აშშ აღარ აპირებს ევროკავშირთან არაფრისმომცემი, ძვირად ღირებული სატარიფო და უსაფრთხოების პოლიტიკის შენარჩუნებას.

- რა პოზიციას იკავებს ოპოზიცია? რას ფიქრობთ მათ მიერ ისევ წამოწყებულ საპროტესტო აქციებზე, რისი მიღწევა სურთ?

- საქართველოში ოპოზიციური პარტიები არ არიან დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალები. ისინი იმართებიან იმ ევროპული თუ ამერიკული ორგანიზაციებიდან, „დიფ სთეითიდან“, რომელთაც სურთ, საქართველო გამოიყენონ უკრაინის მსგავსი ქმედებებისთვის. ამ ყველაფრის შედეგია ის, რომ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები ქართველ ამომრჩევლებზე მუშაობას ნაკლებ დროს უთმობენ და დამოკიდებული არიან უცხო ძალებზე, ვერ პასუხობენ ამომრჩეველთა უმრავლესობის დაკვეთას. მათი წარუმატებლობის მიზეზი სწორედ ეს გახლავთ. საპროტესტო აქციები მილევად რეჟიმშია და მათი მოთხოვნები აცდენილია როგორც ქვეყნის შიდა, ისე საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობას. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნა ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

- სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული პოსტის მიხედვით ბოდიშის მოხდას ითხოვთ. თუ შეიძლება, დააკონკრეტოთ - რატომ?

- ომის დაწყებიდან დღემდე ოპოზიციური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მედიასაშუალებები და მათი უფროსები უცხოეთიდან უკრაინის თემას იყენებდნენ საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლისთვის და მოსახლეობას არწმუნებდნენ, რომ უკრაინა „თავისუფალი სამყაროს“ დახმარებით დაამარცხებდა რუსეთს, გაწევრიანდებოდა ევროკავშირსა და ნატოში, ხოლო საქართველო დარჩებოდა ამ პროცესის მიღმა, თუ უკრაინას ყველა შესაძლო დახმარებას არ აღმოუჩენდა. ამ მხარდაჭერაში შედიოდა: რუსეთისთვის დამატებითი ეკონომიკური სანქციების დაწესება, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შეწყვეტა, პირდაპირ ფრენებზე უარი, სავიზო რეჟიმის შემოღება, ომში მოხალისეების ორგანიზებულად გაგზავნა, იარაღით დახმარება და სხვა. ხელისუფლებისგან ითხოვდნენ, ოკუპანტი რუსეთის მიმართ აგრესიულ რიტორიკას. გახსოვთ, თუ როგორ იმეორებდნენ უცხოეთში გავრცელებულ უცენზურო ტერმინებს თუთიყუშებივით. უცხოური დროშებით აგრესიული ქმედებებიც გვახსოვს... ამ ქცევების ერთობლიობა გამოიწვევდა ჩვენს ჩართვას რუსეთთან სამხედრო დაპირისპირებაში და იმგვარი შედეგი დადგებოდა, რაც უკრაინაში. ძალიან გაგვიმართლა, რომ ეს პოლიტიკური და ინტერესჯგუფები არ იყვნენ ხელისუფლებაში. ამ ადამიანებმა უნდა აღიარონ, რომ შეცდნენ და საქართველოს და უკრაინის მოქალაქეებს ბოდიში მოუხადონ. უკრაინელები ჩვენი დიდი ხნის მეგობარი ერია, არავისზე ნაკლებად მათი მდგომარეობა არ გვაღელვებდა და გვაღელვებს. ისინი გამოიყენეს დიდ პოლიტიკურ თამაშებში უცხო ქვეყნების პოლიტიკურმა ძალებმა და მათ მიერ ხელდასმულმა უკრაინის ხელისუფლებამ. ჩვენ მათ, ამ გარედან მართულ პროცესში, ვერ გავყვებოდით, რადგან გვქონდა

იხ. მე-9 გვ.

> *„კანადა ან მექსიკა თუ განიზრახავს აშშ-ის კონკურენტ რუსულ ან ჩინურ სამხედრო ბანაკში გაწევრიანებას, ზუსტად იმ შედეგს მიიღებს, რაც უკრაინას დაატყდა თავს - აშშ-ის სამხედრო ინტერვენცია გარდაუვალი იქნება. ზელენსკის და მისი წინამორბედი სხვა მმართველების შეცდომა იყო რუსეთსა და დასავლეთს შორის გეოპოლიტიკური ბალანსის დარღვევა. ამ ქმედებამ არა მარტო უკრაინას, არამედ მთელ მსოფლიოს მოუტანა არასტაბილურობა*

„დასავლეთს ვაჩვენებთ, რომ ამ ქვეყანაში უსამართლობას არ შევეგუებით“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

საპროტესტო აქციები ქვეყანაში უკვე მეოთხე თვეა, გრძელდება და ცხადად წარმოაჩენს, რომ საქართველოში პოლიტიკური ველი მკვეთრად პოლარიზებულია. როგორ განვითარდება პროცესები? დაძაბულობის განმუხტისთვის რაა გასაკეთებელი? - ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე გვესაუბრება „კოალიცია ცვლილებისთვის“ აჭარის ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი ***ლევან გორგილაძე.***

- როგორ შეაფასებთ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს?

- განსაკუთრებით რთული პოლიტიკური ვითარებაა - სრულად პოლარიზებულია მოსახლეობა, განსაკუთრებით - ბოლო წლებში, ვგულისხმობ 2020 წლის არჩევნების შემდგომ პერიოდს, მაშინაც გაყალბდა არჩევნები დიდ ქალაქებში, სადაც მოსახლეობას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები წაართვეს, მათ შორის ბათუმშიც რაც მოხდა, ყველას კარგად გვახსოვს: გარდაცვლილი დეპუტატი, მოსყიდვის მცდელობები, რეპრესიები, ადამიანების ცემა... 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომი პერიოდი კიდევ უფრო სავალალო აღმოჩნდა ქვეყნისთვის - „ქართული ოცნების“ ძალისხმევით, პოლარიზებულია პოლიტიკური ველი. მომავალმა ხელისუფალმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, ამ ქვეყანაში განსხვავებული ორიენტაციის და პოლიტიკური მრწამსის ადამიანებმა თანაცხოვრება რომ შეძლონ.

- თქვენი და, საერთოდ, ოპოზიციის ბრალდებები ხელისუფლების მიმართ რამდენად საფუძვლიანი და არგუმენტირებულია?

- ეს კითხვა რიტორიკული მომეჩვენა, თუმცა საფუძვლიანია. ქართველმა ხალხმა საკუთარი თვალით იხილა, თუ როგორ გაყალბდა არჩევნები, ჩვენ ვიყავით საარჩევნო ველზე და განწყობებს ვხედავდით, შედარებით ინდიფერენტულ სოფლებშიც კი ხელისუფლებისადმი განწყობა რადიკალურად შეცვლილი იყო. რაც შეეხება არგუმენტებს, ბრალდებებთან დაკავშირებით ჩვენი არგუმენტები დასავლეთმა გაიზიარა, აშშ-მა, ევროკავშირმა არ აღიარეს 2024 წლის არჩევნები ლეგიტიმურად. ყველაფერს, რასაც ვითხოვდით და რის გამოც ვდგავართ ქუჩაში, თვალნათლივ ხედავს ევროპა და ამერიკა, არავის უთქვამს, არასწორად დგახართ ქუჩაშიო, ამიტომაც ვთქვი, რომ საფუძვლიანია ჩვენი არგუმენტები არჩევნებთან მიმართებით.

- ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ოპოზიციის შეფასებები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, უსაფუძვლოა. მაგალითად, პრემიერ-მინისტრი კობახიძე აცხადებს, რომ ქვეყანა თანმიმდევრულად ვითარდება...

- საერთოდ პოლიტიკას ქმნის როგორც პოლიტიკოსი, ასევე, სამოქალაქო საზოგადოება. პრემიერ-მინისტრს, რა თქმა უნდა, ამას ვერ დააჯერებ, გამომდინარე იქიდან, რომ პოლიტიკა მათ წარმოუდგენიათ საკუთარი კეთილდღეობისთვის საკეთებელ საქმედ. რაც შეეხება განცხადებას, რომ თანმიმდევრულად ვითარდება ქვეყანა, ცხადია, ლოგიკას მოკლებულია. ვხედავთ, როგორ ატერორებენ მოსახლეობას, ინფლაცია მატულობს, პოლიტიკოსებს ოფისებში უვარდებიან, განსხვავებულ აზრს ახშობენ, ეს არ არის ქვეყნის თანმიმდევრულად განვითარება... დეპუტატი იქნები თუ მინისტრი, არ უნდა იყო მხოლოდ შენი ამომრჩევლისთვის, უნდა იყო ყველა პოლიტიკური მრწამსის ადამიანისთვის. სამწუხაროდ, არსებული ხელისუფლება მხოლოდ საკუთარი ამომრჩევლის აზრს ითვალისწინებს, არადა, გაყალბებული არჩევნების შედეგებიც რომ ავიღოთ, მინიმუმ, ნახევარი საქართველო „ქართულ ოცნებას“ მხარს არ უჭერს. მოკლედ, ირაკლი კობახიძე არის თვითგამოცხადებული პრემიერ-მინისტრი და მისი განცხადება არაფერს ნიშნავს.

- როგორც ცნობილია, მესამე პრეზიდენტს სასამართლომ განაჩენი გამოუტანა. ცხადია, ოპოზიციამ უარყოფითად შეაფასა ეს განაჩენი, მმართველი პარტიის თქმით კი გადაწყვეტილება ობიექტურია. რას ფიქრობთ?

- ამ სასამართლოს ვერდიქტს ობიექტურად აფასებს მხოლოდ მმართველი პარტია. ერთი შეხედვით, მიხეილ სააკაშვილი თავის შეცდომას იმკის... სასამართლო „ნაცმოძრაობის“ დროს უნდა გამხდარიყო ისეთი, როგორსაც ვითხოვთ დღეს და მმართველი პარტია ვეღარ შეძლებდა სასამართლო სისტემის მოდრეკას. მიხეილ სააკაშვილს რომ თავი დავანებოთ, უამრავი არასათანადოდ შეფასებული საქმე ვნახეთ. თითქმის არ დარჩა კეთილსინდისიერი მოსამართლე ქვეყანაში და სასამართლო გადაქცეულია მმართველი გუნდის კანტორად. რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილის საქმეს, ამ სასამართლოს პირობებში არავინ უნდა გასამართლდეს და - არც მიხეილ სააკაშვილი. დარწმუნებული ვარ, „ქართული ოცნება“ მალე დატოვებს მმართველობას. მისი არცერთი წევრის ამ სასამართლოში გასამართლების მომხრე არ ვიქნები, ყველა უნდა წარსდგეს კანონის წინაშე სამართლიანი სასამართლოს პირობებში და არც მიხეილ სააკაშვილია გამონაკლისი.

- გვერდს ვერ ავუვლით მმართველი პარტიის მიერ დაანონსებულ სხვადასხვა კანონს....

- მმართველი გუნდი (ბრჭყალებში) ჩემთვის არის თვითგამოცხადებული, დეპუტატებიც, მინისტრებიც - გამომდინარე იქიდან, რომ მიტაცებული აქვთ სახელმწიფო. ქართველმა ხალხმა სულ სხვა არჩევანი გააკეთა. კანონები, მმართველი პარტია რომ გვთავაზობს და აანონსებს, სრულიად არალეგიტიმურია და დარწმუნებული ვარ, მალე შეიცვლება.

- სხვათა შორის, მმართველმა პარტიამ პარლამენტში შექმნა საგამოძიებო კომისია, რომელიც ყოფილი ხელისუფლების, „ნაცმოძრაობის“ საქმიანობას გამოიძიებს...

- ხელისუფლებას, რომელიც მეოთხე ვადითაა სათავეში და წინა მთავრობაზე საუბრობს, ნიშნავს, რომ არაფერი გაუკეთებია ქვეყნისთვის. ცოტა ფანტასმაგორიულია ეს ყველაფერი... სამწუხაროა, რომ ვიღაცებისთვის ეს პროპაგანდა კიდევ მუშაობს. „ნაცმოძრაობა“ შეიძლება არ მოგწონდეს, შეიძლება - მოგწონდეს, შეიძლება, კარგ შემთხვევაში, მიხეილ სააკაშვილთან ასოცირდებოდეს, ცუდ შემთხვევაში - კეზერაშვილთან, მერაბიშვილთან, მაგრამ დღეს „ნაცმოძრაობა“ ვიღაცამ შეფუთოს მონსტრად, უბრალოდ, სასაცილოა, გამომდინარე იქიდან, რომ „ნაცმოძრაობა“ ერთპიროვნულად ვერ მოვა ხელისუფლებაში, მეორეა - თუ აქამდე მთავარი ოპოზიციური ძალა იყო, არჩევნებმაც ცხადყო, რომ ახლა ასე აღარ არის.

- რა ფაზას გადის ახლა პროტესტი, ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ოპოზიცია სულს ღაფავს...

- პრემიერ-მინისტრისგან სხვა შეფასებას არ ველი, თუმცა ერთი დღე მაინც თუ შეძლებს ქუჩაში დგომას და კარავში გათენებას, ჩემს სიტყვებს უკან წავიღებ მის შესაძლებლობებზე. თითქმის ოთხი თვეა, რაც ქუჩაში ვდგავართ, მაგალითად, ბათუმში, აქ გაცილებით ადრე დაიწყო პროტესტი, სტუდენტებმა დაიწყეს, თბილისში ასშვიდი დღეა, ხალხი ქუჩაში დგას და ამ მხრივ ისტორია იწერება, გამომდინარე იქიდან, რომ არავის ახსოვს, რუსთაველი ყოველდღიურად, ინტენსიურად გადაკეტილი ყოფილიყოს. ეს შედეგს აუცილებლად გამოიღებს... ნაწილობრივ უკვე გამოიღო - დასავლეთს ვაჩვენებთ, რომ ამ ქვეყანაში უსამართლობას არ შევეგუებით.

- ექსპერტები აცხადებენ, რომ ოპოზიციამ მძლავრი პროდასავლური კოალიცია უნდა შექმნას და მასში არასაპარლამენტო პარტიები გააერთიანოს.

- ოპოზიცია ერთიანია, ცალკეული პარტიების მიმართ კითხვები გაჩნდა დაფინანსებასთან დაკავშირებით, მაგრამ, მთლიანობაში, მთავარ საკითხებზე ერთიანია. მთავარი აქ იყო ბოიკოტი, ანუ პარლამენტში არშესვლა. მმართველი პარტიის გარდა, აჭარის უმაღლეს საბჭოში არავინ არის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. საერთაშორისო თანამეგობრობაც ხედავს, რომ, პროტესტის გარდა, ბოიკოტიც ხორციელდება პარლამენტის მიმართ, ანუ პარლამენტი არის ერთპარტიული. რაც შეეხება არასაპარლამენტო ოპოზიციას, კი გადავლახეთ ბარიერი, მაგრამ ჩვენც არასაპარლამენტო ოპოზიცია ვართ, ვაკეთებთ ერთ საქმეს და, საბოლოოდ, ჩვენი ბრძოლა შედეგიანი აღმოჩნდება.

- როგორ ხედავთ სალომე ზურაბიშვილის პერსპექტივას ოპოზიციის გამაერთიანებლის როლში?

- სალომე ზურაბიშვილის როლი საინტერესო აღმოჩნდა. უწინ, როცა მმართველი პარტიის ხედვებით მოღვაწეობდა, მის მიმართ ძალიან კრიტიკული ვიყავი, მაგრამ როცა გადამწყვეტი მომენტი დადგა, სალომე ზურაბიშვილმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, სწორად იცვალა ფერი და რუსეთისკენ მიმავალ გზას არ დაადგა. ამ მხრივ სწორი შეხვედრები დაგეგმა საერთაშორისო თანამეგობრობასთან, მოკლედ, მაშველ რგოლად მოგვევლინა. იმედია, სამომავლოდაც მისი როლი აღმოჩნდება მნიშვნელოვანი, ანუ კომუნიკაციები სხვადასხვა ქვეყანასთან, განსაკუთრებით საფრანგეთი უნდა აღინიშნოს ამ მიმართებით. მიუხედავად იმისა, რომ სალომე ზურაბიშვილი არ არის ჩვენი კოალიციის წევრი, ის საქართველოს მეხუთე პრეზიდენტი იყო, მას წარმატებას ვუსურვებ ამ ბრძოლაში, მაგრამ ვერ ვპატიობ იმ განცხადებებს, რაც მან წარსულში გააკეთა და საკმაოდ დიდი კრიტიკაც დაიმსახურა ამის გამო.

- ოპოზიცია კი აიმედებს მოსახლეობას ხელახალი არჩევნების მოახლოებით, მაგრამ ხელისუფლება თვითმმართველობის არჩევნებზე საუბრობს...

- ამ ქვეყანაში მმართველმა ძალამ არჩევნები მოკლა. სანამ სტრუქტურულად არ შეიცვლება ცესკო და აჭარის შემთხვევაში, უსკო, ასევე, სანამ სტრუქტურულად არ შეიცვლება შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც თავიდან ბოლომდე ჩართულია არჩევნების წინასწარ გაყალბებაში, ამ სტატუსკვოთი და პოლიტპატიმრების ფონზე არჩევნებში გასვლა წარმოუდგენელია. ახალ არჩევნებზე უნდა ვიფიქროთ, ეს იქნება თვითმმართველობის არჩევნებზე მიბმული არჩევნები თუ ცალკე, ამის თქმა ძნელია, ჩანს, რომ დანებებას ეს ხალხი არ აპირებს, ისტორია იწერება ქვეყანაში. დარწმუნებული ვარ, ხელახალ არჩევნებში მოგვიწევს ბრძოლა და არა თვითმმართველობის არჩევნებში.

- საგარეო საკითხსაც შევეხოთ, რა სტადიაშია დღეს ქართულ-ამერიკული ურთიერთობები?

- დღესდღეობით ის არც ისე სახარბიელოა. წარმოუდგენლად მიმაჩნია, რომ აშშ-მა აღიაროს მმართველი პარტიის მიერ გაყალბებული არჩევნები. პრეზიდენტი ტრამპი იქნება, ბაიდენი თუ ობამა, ეს არაფერს ცვლის. ამერიკა დემოკრატიული ქვეყანაა, იქ კარგი და ცუდი პრეზიდენტებიც ვიცით, ეს სუბიექტური შეფასების ნაწილია, თუმცა დემოკრატია არის ამ ქვეყნისთვის უპირველესი. ამიტომ, ვფიქრობ, მმართველი გუნდის მიერ გაყალბებული არჩევნები არათუ აშშ-ისგან, არამედ არცერთი ნორმალური ქვეყნისგან არ იქნება აღიარებული. რაც შეეხება საგარეო საქმეთა მინისტრ მაკა ბოჭორიშვილისა და აშშ-ის ელჩის შეხვედრას, ჩემი აზრით, მომავალში უფრო კარგად გამოჩნდება ამ შეხვედრის დეტალები. დარწმუნებული ვარ, როგორც პოლიტპატიმრების გათავისუფლებაზე, ასევე, ხელახალი არჩევნების დანიშვნაზე იქნებოდა საუბარი.

- დაბოლოს, რუსეთ-უკრაინის ომის შედეგი რამდენად განსაზღვრავს მსოფლიო წესრიგს და რა ელის საქართველოს?

- უკრაინაში დღეს წყდება მსოფლიოს დღის წესრიგი. ზელენსკის როლი ამ მხრივ მნიშვნელოვანია. უკრაინელმა ხალხმა აჩვენა, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთთან ბრძოლას. ამ ბრძოლაში რა როლი აქვს საქართველოს? პატარა ქვეყნის წარმომადგენელთა შესაძლებლობები გამოიკვეთა, ბევრი ქართველის სიცოცხლე შეეწირა ამ ომს, ძალიან ბევრი ქართველი იქ დღესაც იბრძვის. უკრაინის გამარჯვება ნიშნავს, რომ რუსეთი შესუსტდება და ჩვენი ქვეყნის განვითარებასაც ხელი არ შეეშლება. დარწმუნებული ვარ, უკრაინა გაუძლებს ამ ზეწოლას და მიიყვანს საქმეს ბოლომდე, ანუ შეინარჩუნებს სახელმწიფოებრიობას და, საბოლოოდ, ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი გახდება.

„თითქმის არ დარჩა კეთილსინდისიერი მოსამართლე ქვეყანაში და სასამართლო გადაქცეულია მმართველი გუნდის კანტორად. რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილის საქმეს, ამ სასამართლოს პირობებში არავინ უნდა გასამართლდეს და - არც მიხეილ სააკაშვილი. დარწმუნებული ვარ, „ქართული ოცნება“ მალე დატოვებს მმართველობას. მისი არცერთი წევრის ამ სასამართლოში გასამართლების მომხრე არ ვიქნები...

აჭარის პოპულარიზაცია გრძელდება

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა რეგიონის ტურისტული პროდუქტები ჩეხეთში, პრაღის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე წარადგინა. სამომავლო თანამშრომლობის მიზნით, უწყების წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს ჩეხეთის ტურისტული სააგენტოების ასოციაციის მენეჯმენტთან, ონლაინ და ბეჭდური მედიაგამოცემების, მარკეტინგული და ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებთან. შეხვედრებზე აჭარის, ზოგადად, საქართველოს შესახებ ჩეხეთში ცნობადობის გასაზრდელად ერთობლივი პრეს-ინფოტურებისა და სარეკლამო კამპანიების დაგეგმვის საკითხები განიხილეს. გამოფენაში აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი ტურიზმის ეროვნული სააგენტოსა და ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდა.

წელს აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი, რეგიონის პოზიციონირებისა და ქვეყანაში ვიზიტორების მოზიდვის მიზნით, 15-მდე საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე იყო წარმოდგენილი. მათ შორისაა ბერლინის, მადრიდის, ნიუ-იორკის, მილანის, ბუდაპეშტის, ჰელსინკის, ვილნიუსის, ტალინისა და რიგის ტურისტული გამოფენები. მიმდინარე წელს, სამიზნე ქვეყნებში აჭარის პოპულარიზაციის მიზნით, ინფლუენსერებისა და ბლოგერების ჩართულობით, აქტიური სარეკლამო ონლაინკამპანიები იგეგმება.

სააკაშვილს სასჯელი გაეზარდა, „ნაციონალები“ ზურაბიშვილს თავს ესხმიან, ხოლო აშშ-ის ელჩი საქართველოს საგარეო მინისტრს ხვდება

ირმა ცეცხლაძე 577 20 45 63

სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთის ფაქტზე ბრალდებული, საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სასამართლომ დამნაშავედ ცნო. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მიხეილ ჯინჭოლიას გადაწყვეტილებით, სააკაშვილს 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. თუმცა, მას, ასევე, დაემატა საბიუჯეტო თანხების გაფლანგვიდან სასჯელი 8 წლით და, ჯამში, თავისუფლების აღკვეთა 12 წლითა და 6 თვით განესაზღვრა

განაჩენის გამოცხადებას მესამე პრეზიდენტი კლინიკა „ვივამედიდან“ დისტანციურადაც არ დასწრებია. პენიტენციური დაწესებულებიდან წარმოდგენილი ოქმის მიხედვით, ის სხდომაზე გამოცხადებაზე უარს აცხადებდა და პროცესის მის გამოჯანმრთელებამდე გადადებას ითხოვდა. ეს განაჩენი უკვე მეორეა, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლომ ბოლო დღეების განმავლობაში სააკაშვილის საქმეზე გამოიტანა. მას კიდევ ერთი სისხლის სამართლის საქმე დარჩა, რომელიც 7 ნოემბრის ეპიზოდს ეხება.

„საზღვრის უკანონო კვეთაზე 4 წლითა და 6 თვით პატიმრობის მისჯა და, თანაც, არსებულ ვადაზე ზემოდან დამატება არის მართლაც უპრეცედენტო - ეს არის იურიდიული აბსურდი და პოლიტიკურად შეკერილი



საქმე თავიდან ბოლომდე“, - განაცხადა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა პეტრე ცისკარიშვილმა. მისივე თქმით, „ქართულ ოცნებას“ მიხეილ სააკაშვილის ეშინია და ყველაფერს აკეთებენ, რომ ის საკანში იყოს.

გამოიკვეთა „ნაციონალურ მოძრაობასა“ და სალომე ზურაბიშვილს შორის დაპირისპირება. სააკაშვილის ციხეში ჩატოვების ფაქტს მისი თანამებრძოლები ექსპრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს ედავებიან. მათი თქმით, ქალბატონ პრეზიდენტს თავის დროზე შეეძლო მიშას შეწყალება.

„ნაციონალურ მოძრაობასა“ და პრეზიდენტ ზურაბიშვილს შორის გადაულახავ განსხვავებად დარჩება ის, რომ მან პრეზიდენტ სააკაშვილის შეწყალების გადაწყვეტილება არ მიიღო. ამ ფაქტს ისტორია შეაფასებს, როგორც ერთი მედასავლეთე პრეზიდენტის მიერ მეორე მედასავლეთე პრეზიდენტის არშეწყალება და თავისი ხელით დატოვება ივანიშვილის რუსული რეჟიმის ტყვეობაში“, - განაცხადა „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე თინა ბოკუჩავამ. მისივე თქმით, მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლება სალომე ზურაბიშვილის მხრიდან ძალიან მნიშვნელოვანი განაცხადი იქნებოდა: „გასაგებია, რომ მისი შეწყალება არ გამოიწვევდა სააკაშვილის გათავისუფლებას, თუმცა ამ მნიშვნელოვან ცივილიზაციურ ბრძოლაში, სადაც, სინამდვილეში, ერთ მხარეს თავისუფალი, მედასავლეთე, პროევროპული საქართველოა და მეორე მხარეს ივანიშვილის რუსული რეჟიმი, ძალიან მნიშვნელოვანია მორალური პოლიტიკური სიცხადე და ამ თვალსაზრისით ეს იქნებოდა ძალიან მნიშვნელოვანი განაცხადი პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მხრიდან“.

თინა ბოკუჩავას აზრით, 31 მარტი ერთგვარ ბოლო ვადად უნდა განისაზღვროს, რადგან თუ ერთობა მართლაც ეფემერული და უტოპიურია, მაშინ უნდა დასრულდეს ყალბი საუბარი და ყველა პარტიამ საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში იმოქმედოს.

„ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ხაბეიშვილმა ჟურნალისტებთან სალომე ზურაბიშვილის განცხადების შეფასებისას აღნიშნა, რომ „ერთადერთი საკითხი, რომელიც შეიძლება იყოს პრობლემური დღეს, ეს არის კოორდინირება პოლიტიკოსებსა და ქართველ ხალხს შორის“. „არ მაინტერესებს სალომე ზურაბიშვილი, სურვილი არ მაქვს, რომ შევაფასო“, - დასძინა მან. ხაბეიშვილის მოსაზრებით, ყოფილი პრეზიდენტი ვალდებული იყო, რუსული აგენტურის მიერ გასამართლებული პრეზიდენტი ციხეში არ ჩაეტოვებინა. „მე არ ვიცი, რას საუბრობს სალომე ზურაბიშვილი. დიდი ინტერესიც არ მაქვს. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ქართველი ხალხის დამოკიდებულება ამ ხელისუფლების მიმართ. ძალას უნდა დავუპირისპიროთ ძალა, კოორდინირებულად უნდა ვიმუშაოთ ქართველ ხალხთან. რაც შეეხება პოლიტიკოსებს, მნიშვნელოვანია მათ საკუთარი ფუნქცია იგივე საგარეო მიმართულებით იპოვონ, ასევე, კოორდინირება უნდა იყოს ქართველ ხალხთან რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში“, - აღნიშნა ლევან ხაბეიშვილმა.

რაც შეეხება თავად საქართველოს მეხუთე პრეზიდენტს, სალომე ზურაბიშვილმა „რეგიონულ მაუწყებელთა ალიანსთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი „მიზანი ოპოზიციის გაერთიანება არასოდეს ყოფილა“ და იქვე დასძინა, რომ ამზადებს „ძლიერ კოორდინაციას“, რომელიც უძლებს ყველაფერს, ხოლო „ყალბი გაერთიანება არის ყველაზე მოწყვლადი“.

ამ მოვლენებს წინ უსწრებდა საქართველოში აშშ-ის ელჩ რობინ დანიგანის საგარეო საქმეთა მინისტრ მაკა ბოჭორიშვილთან შეხვედრა, რის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა როგორც საელჩომ, ისე სამინისტრომ. „ელჩმა მინისტრს გააცნო პრეზიდენტ ტრამპისა და სახელმწიფო მდივან რუბიოს მთავარი პრიორიტეტები, ასევე, ის ნაბიჯები, რომელიც საქართველოს შეუძლია გადადგას, რათა აჩვენოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის გაუმჯობესებისადმი სერიოზული დამოკიდებულება“, - აღნიშნულია საელჩოს ინფორმაციაში.

ოპოზიცია, რომელიც ბოლო წუთამდე დარწმუნებული იყო, რომ „ოცნებას“ ტრამპი არ სცნობდა, დაიბნა, თუმცა პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი ჯერ კიდევ იტოვებს იმედს, რომ ეს შეხვედრა მონოლოგის პრინციპით წარიმართებოდა, სადაც ამერიკა საკუთარ პირობებს წაუყენებდა საქართველოს მთავრობას: „ამერიკელებს თავიანთი ინტერესები აქვთ და, ბუნებრივია, ისინი შეხვდებიან ხელისუფლებას, აბა, რას იზამენ? ელჩი საქართველოში რისთვის ზის? მას ყველასთან ექნება კომუნიკაცია. თუ ეს კომუნიკაცია ვინმეს არ მოსწონს, თავის თავს დააბრალოს (ოპოზიცია მყავს მხედველობაში)“, - აცხადებს ხუხაშვილი.

როგორც პოლიტოლოგმა „პალიტრანიუსის“ ეთერში აღნიშნა, „შესაძლოა ამერიკის ელჩმა საგარეო საქმეთა მინისტრს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციისთვის გარკვეული პირობები წაუყენა. საუბარი შესაძლოა ყოფილიყო პოლიტპატიმრებთან დაკავშირებით, როგორც ნორმალიზაციის პირველი ნაბიჯი“.

ხუხაშვილი თვლის, რომ ეს პირობები არის ვექტორის დაბრუნება იმ კალაპოტში, რაშიც ვითარდებოდა ათეული წლის განმავლობაში: „ჩვენი მმართველობის პოლიტიკა რუსეთისკენ შეტრიალდა და ქვეყანა რუსეთის ლუკმა გახდა. ეს ყველაფერი უნდა დასრულდეს და უნდა დავუბრუნდეთ კონსტიტუციურად განსაზღვრულ მიმართულებას. ეს არის წინადადებების ფორმალიზება. რადგან მინისტრად მოიხსენია, ეს არის დე ფაქტო ვითარება, დე ფაქტო ბოჭორიშვილი არის საგარეო საქმეთა მინისტრი. რა თქმა უნდა, მას ლეგიტიმურად არ ვაღიარებთ, არამედ დე ფაქტოდ. მოვლენების განვითარებას უნდა მივყვეთ. ეს არის გრძელვადიანი თამაში. ბუნდოვან ვითარებაში რომ ვართ, ეს არის ხელისუფლების დამსახურება, მაგრამ ამაში „თავისი წვლილი“ ოპოზიციასაც მიუძღვის“.

პოლიტოლოგი არც ოპოზიციის მიერ დაშვებული შეცდომების გასაჯაროებას ერიდება: „ამერიკელები ოპოზიციაშიც ვერ ხედავენ წელში გამოყვანილ ოპოზიციას. დასავლელმა პარტნიორებმა და ელჩებმა ძალიან კარგად იციან, რა მდგომარეობაშია დღეს მეორე მხარე. უნდა ვაღიაროთ, რომ მართლაც არ არის საუკეთესო ფორმაში. დასავლელ პოლიტიკოსებს ქვეყანაში შესაბამისი საყრდენები სჭირდებათ, ძლიერი პარტნიორები, რომლებსაც შეუძლიათ ქვეყანაში პოლიტიკური პროცესების წარმართვა და რომლებსაც ხალხის მხარდაჭერა აქვთ“.

პოლიტოლოგმა ასევე ისაუბრა უწყვეტ პროტესტზე. მისი თქმით, ოპოზიციამ პროტესტში სრულფასოვნად ინტეგრირება ვერ მოახერხა. „ამდენი დრო გავიდა, პროტესტში სრულფასოვნად ინტეგრაციაც კი ვერ მოახერხეს. სულ გადადება, გადადება, ახლა 31 მარტი გამოგვიცხადეს. ერთიანობაზე ლაპარაკობენ, ჩვენ მათი ერთ პარტიად ჩამოყალიბება კი არ გვინდა. ჩვენ გვინდა მათი კარგი კოორდინაცია იმისათვის, რომ ქვეყანა დაუბრუნდეს ევროპულ გზას. რატომ წელავენ? აქამდე რატომ არ გააკეთეს? ამასობაში მოვა ადგილობრივი არჩევნებიც. ოქტომბრის შემდეგ რამდენი დრო დაიკარგა. მხედართმთავრის გარეშე მოგებული ომი გინახავთ? მძღოლობა უნდათ, მაგრამ უკანა სავარძელზე უნდათ დაჯდომა და არა - საჭესთან. უნდა გააკეთონ და თუ ვერ აკეთებენ, ეს არის სისუსტე,

სხვა კი არაფერი. მიზეზი შეიძლება ხუთასი ჰქონდეთ... მე ფაქტს ვუყურებ - ისინი ამას ვერ აკეთებენ, ხელისუფლება ოპოზიციას ქილიკით ელაპარაკება, არასერიოზულად უყურებს და, რაც მთავარია, გასდის. რატომ? იმიტომ, რომ აქეთ მხარეს ენერგიას ვერ ხედავენ. ამხელა პროტესტია ქვეყანაში და ამის კაპიტალიზაციას ვერ ახერხებენ პოლიტიკური ლიდერები. 31 მარტიც დადგება“, - აცხადებს გია ხუხაშვილი.

თეატრმა მეგი კობალაძეს 6 თვით ხელფასი შეუჩერა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„6 თვით შემიჩერა ხელფასი“ - წერს ბათუმის დრამატული თეატრის მსახიობი მეგი კობალაძე თავის ფეისბუქგვერდზე და დაურთო თეატრის ხელმძღვანელობის ბრძანება, სადაც ვკითხულობთ: „მსახიობ მეგი კობალაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ იყო ისეთი განსაკუთრებული, რომ ვერ ეთამაშა სპექტაკლი. სოციალურ სივრცეში დაწერა გაფიცვის შესახებ და ამავე დროს არ წარმოადგინა ბიულეტენის გახსნისთანავე სამედიცინო ცნობა. აგრეთვე, არ გაითვალისწინა თეატრის თხოვნა სპექტაკლში მონაწილეობაზე და კატეგორიული უარი განაცხადა, რითაც გამყღავნდა არაპროფესიონალიზმი და უპატივცემულობა მაყურებლის მიმართ, რის გამოც მოიხსნა 11 მარტს დანიშნული სპექტაკლი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მსახიობ მეგი კობალაძეს შინაგანაწესის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე შეუწყდეს ხელფასი 6 თვის განმავლობაში. მსახიობის შემდგომი ქცევიდან გამომდინარე შესაძლოა გადაწყვეტილება გადაიხედოს“, - წერია ბრძანებაში, რომელსაც ხელს აწერენ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ალექსანდრე ქანთარია და დირექტორი ირაკლი დევაძე. მსახიობი განმარტავს, რომ ბიულეტენი გახსნილი ჰქონდა და მას მანამდე ვერ წარადგენდა თეატრში, სანამ არ დაიხურებოდა, დახურული ბიულეტენი კი 13 მარტს წარადგინა.

„შთაბეჭდილება მექმნება, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანლის ქმედება - 6 თვით ხელფასის შეჩერება, განპირობებულია ზუსტად იმით, რომ მე მაქვს მისგან განსხვავებული აზრი და ამას ვაფიქსირებ ხმამაღლა“, - აღნიშნა მეგი კობალაძემ.

ბათუმის დრამატული თეატრის მსახიობთა ნაწილი, მათ შორის მეგი კობალაძე, რამდენიმე დღის წინ, თეატრიდან მსახიობ თორნიკე ბარამიძის გათავისუფლების შემდეგ წერდა, რომ არ გამორიცხავდა, მორიგი ადამიანი, ვისაც რაიმე ფორმით „დასჯიდა“ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ალექსანდრე (ნუკრი) ქანთარია, თავად იქნებოდა.

„ეს ადამიანი აშკარად იმათ ათავისუფლებს თეატრიდან, ვინც უქმნის დისკომფორტს. რბილად რომ ვთქვათ - ვინც არ მოსწონს, ხოლო ვის მიმართაც გარკვეული სიმპათიები აქვს, აშკარად აიგნორებს მათ მიერ დაშვებულ შეცდომებსა თუ დარღვევებს, რაც თეატრის წესდებაში გვიწერია“, - ამბობს მსახიობი. მეგი კობალაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ამ ბრძანებას აუცილებლად გაასაჩივრებს სასამართლოში.

ბათუმის დრამატულ თეატრში მიმდინარე პროცესებზე საკუთარ პოზიციას აფიქსირებს ამავე თეატრის კიდევ ერთი მსახიობი ტიტე კომახიძე. „მსახიობ თორნიკე ბარამიძის განთავისუფლება იყო იმის მაგალითი და მინიშნება, თუ არ დაემორჩილებით თეატრის წესებს, რომლებიც ალექსანდრე ქანთარიამ შემოიტანა, მაშინ ყველა გაიზიარებთ თორნიკეს ბედსო, მე ასე აღვიქვი ეს და ამიტომაც დავარქვი რეპრესიები. იცით რა, მსახიობები შემოქმედი ადამიანები ვართ, ჩვენ არ ვართ კანონების კითხვას და ფურცლების შრიალს მიჩვეული. ჩვენი ფურცელი არის ტექსტი, ჩვენი ფურცელი არის როლი და ჩვენი ასპარეზი არის სცენა“, - აღნიშნა ტიტე კომახიძემ. მსახიობმა, ასევე, თქვა, რომ ბათუმის დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს უჭირს მსახიობებთან კომუნიკაცია. „როცა ასეთი შემოქმედებითი სტრუქტურის ხელმძღვანელი ხარ, ვთვლი, რომ აბსოლუტურად გახსნილი უნდა იყო, სულ სხვანაირი მიმღებლობა უნდა გქონდეს იმ ადამიანების, რომლებსაც მსახიობები ჰქვიათ. არ შეიძლება, სამხატვრო ხელმძღვანელი დღის 12 საათზე მოდიოდეს, შედიოდეს კაბინეტში და ღამის 12 საათზე გადიოდეს კაბინეტიდან ისე, რომ არ ჩამოდიოდეს დასთან, არ განიხილავდეს პროცესებს, რაც თეატრში ხდება. 30 წელია აღნიშნულ თეატრში ვარ, არაერთი რეჟისორი თუ სამხატვრო ხელმძღვანელი გამომიცვლია, მაგრამ გახსნილი კომუნიკაცია ყოველთვის იყო, ალექსანდრე ქანთარიასთან კი ეს ვერ შედგა“, - თქვა ტიტე კომახიძემ.

მსახიობ მეგი კობალაძესთან დაკავშირებით, საპასუხო კომენტარის გასაკეთებლად, დრამატული თეატრის დირექტორ ირაკლი დევაძეს მივმართეთ, რომელმაც განგვიცხადა, რომ ამ კონკრეტულ საკითხზე თეატრი კომენტარს არ გააკეთებს.

„ამომრჩევლებთან შეხვედრის დრო და საათი არასდროს დამიწესებია“

ზაზა დავითაძე *მეთორმეტე წელია, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრია. იგი ამჟამად ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხთა კომისიას ხელმძღვანელობს. არის დაბის მაჟორიტარი. მთელი ამ წლების განმავლობაში საკრებულოში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წარმომადგენელია. როცა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში „ხალხის ძალა“ მმართველ პარტიას გამოეყო, ზაზა ახალ პოლიტიკურ გაერთიანებაში გადავიდა. მასთან მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ვისაუბრებთ.*

- ბატონო ზაზა, როგორ შეაფასებთ მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს და ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობას?

- წარსულის შეხსენებით თავს არ მოგაბეზრებთ, მაგრამ ერთს მაინც ვიტყვი: საქართველო დღემდე მამულის, ენისა და სარწმუნოების დაცვით მოვიდა. ოდითგანვე მშვიდობა იყო მთავარი. მივესალმები იმ პოლიტიკას, რომელიც, ამ ეტაპზე, მშვიდობის შესანარჩუნებლად ტარდება. გვექნება მშვიდობა, ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვასაც შევძლებთ და სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებსაც მოვერევით. წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი ვერ ვეგუები იმ ქმედებებს, რასაც ქვეყანაში თუ მის ფარგლებს გარეთ მყოფნი სჩადიან. ვერ წარმოვიდგენდი, 21-ე საუკუნეში ამდენი მტერი და მოშურნე თუ გვეყოლებოდა. ვართ დამოუკიდებელი ქვეყანა, გვაქვს სუვერენული სახელმწიფო, ჩვენს თავს ჩვენვე მივხედავთ. საწყენია ბალტიისპირელი და გერმანელი პოლიტიკოსების დამოკიდებულება საქართველოსადმი. ისინი საკუთარი ქვეყნის მმართველობით და პოლიტიკურ სარბიელს ჩამოაშორეს და ახლა ჩვენს ოპოზიციას მრჩევლებად მოევლინნენ. არც ელჩების დამოკიდებულებაა მოსათმენი, განსაკუთრებით - ევროკავშირის. ბალტიისპირეთის რესპუბლიკები გვიწესებენ სანქციებს და თავად არიან მოქცეულნი ოკუპანტი რუსეთის გავლენის ქვეშ.

- ეს მოსაზრებები ამომრჩევლებამდე თუ მიგაქვთ?

- ამომრჩეველს ცოცხალი სიტყვის ყოვლთვის სჯერა. ვცდილობ, სიტყვითა და საქმით მათთან ვიყო. მიხარია, რომ ხელისუფლების აქტიურობით მოიხსნა ის პრობლემა, რაც ჩანჩხალოში იყო. წლების განმავლობაში სოფელში შესასვლელი საავტომობილო გზა იმეწყერებოდა და ჩანჩხალოელები გარე სამყაროს მოწყვეტილები რჩებოდნენ. ნორმალური პროექტის საფუძველზე ერთ მონაკვეთზე შემოვლითი გზა გაკეთდა და წლევანდელი ბუნებრივი სირთულეების ფონზე გზა აღარ ჩაკეტილა. დაბაძველს 9 კილომეტრიდან გამოყვანილი სარწყავი არხი ემსახურება. ცალკეულ მონაკვეთზე მეწყერი განვითარდა. მოსახლეობა ამ მონაკვეთებზე გოფრირებული მილების ჩაწყობას და წყლის დახურულად გამოტარებას ითხოვს. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შესაბამისი უწყების ხელმძღვანელები პრობლემის მოგვარებას გვპირდებიან. ამომრჩევლებთან შეხვედრის დრო და საათი არასდროს დამიწესებია. ასე უფრო ვუგებთ ერთმანეთს.

- ამომრჩევლებთან შეხვედრებს ახსენებთ. როგორია მათი რეაქცია სისხლის სამართლის კოდექსში სამშობლოს ღალატის მუხლის შეტანაზე?

- საჭირო და აუცილებელია სისხლის სამართლის კოდექსში სამშობლოს ღალატის მუხლის შეტანა. მათ, ვინც თავის დროზე ეს მუხლი გააუქმა, ამომრჩეველთა უმრავლესობა უსამშობლოებად მიიჩნევს. რაც შეეხება ამომრჩევლებთან შეხვედრებს, გავიაროთ თითოეულის ეზოში და ვიკითხოთ, რა სარგებელი მიიღეს ადგილობრივი ხელისუფლისგან აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების თანადგომით? მათთვის საკანონმდებლო ინიციატივებიც უცხო აღარაა, მაგრამ სოციალური პრობლემების გადაწყვეტას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. წარსულში დარჩა წლევანდელი მკაცრი ზამთარი. ამომრჩევლები სტიქიის შედეგად გამოწვეული გასაჭირის დროს ყურადღების მიღმა არ დაგვიტოვებია. გაწეულ შრომას და თანადგომას ვერ დავუკარგავთ აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ხელმძღვანელებს. ერთობლივი მუშაობის შედეგად ნგრევა და მსხვერპლი აცილებულია. აქ ერთი გარემოებაც უნდა აღვნიშნო - აჭარის მთიანეთის მკვიდრებმა იციან სტიქიასთან გამკლავება და ეს საუკუნეებია ასეა.

- ოპოზიცია უკვე აკრიტიკებს მმართველი პარტიის ანტინარკოტიკულ პოლიტიკას. პროფესიით ექიმი, ამ საკანონმდებლო აქტივობას როგორ აფასებთ?

- სწორედ რომ დროული და გარემოებებზე მორგებული კანონი გვექნება. ნამდვილად მებრალებიან ის ახალგაზრდები, რომლებიც საშიში სენის მიმდევრები ხდებიან. ნარკოტიკების ნაწილობრივი ლეგალიზაციაც თავის დროზე უცხოელი და ადგილობრივი აგენტების „დამსახურება“ იყო. კიდევ კარგი, რომ უფლის ნებითა და გონიერი ქართველების დროული რეაგირებით, ანტინარკოტიკული პოლიტიკის გატარება იწყება. მჯერა, „ხალხის ძალა“ ამ კანონს მხარს დაუჭერს. ქართული სოფელი ოდითგანვე ვერ იტანდა მანკიერებას, მაგრამ ნარკოტიკების მომხმარებლები და რეალიზატორები სოფლებშიც მოგვიმრავლდნენ. რა დასამალია, რამდენიმე მსჯავრდებული ჩემს მაჟორიტარულ ოლქშიც იყო. დიდი ძალისხმევის ფასად ისინი აქტიური ცხოვრების წესს დაუბრუნდნენ. ვსარგებლობ თქვენი გაზეთით და მადლობას ვუხდი ქვეყნის პარლამენტის, აჭარის უმაღლესი საბჭოს დელეგატებს, ბატონებს ანზორ ბოლქვაძესა და ფრიდონ ფუტკარაძეს თანადგომისთვის.

- დიდი დრო აღარ რჩება თვითმმართველობის არჩევნებამდე. როგორია მოლოდინი?

- ამომრჩევლებთან ურთიერთობაზე ნაწილობრივ ვისაუბრე. აქვე დავამატებდი, რომ მათთან მისასვლელ გზებზე მწვანე შუქი გვაქვს ანთებული. წელს შუახევის მუნიციპალიტეტის მერიამ შვიდი ახალი სოციალური პროგრამა დაამატა, სამი - აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა. ეს პროგრამები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება. დაბა შუახევის სოფლებსა და უბნებში იშვიათია ოჯახი, ხელისუფლების სიკეთით რომ არ სარგებლობდეს. ამ დროს ჩვენ მათ პოლიტიკურ შეხედულებას ყურადღებას არ ვაქცევთ. მრავალს მეც დავეხმარე. მარტო პოლიტიკური ინტერესებიდან არ გამოვდივარ, სოფელს დაუწერელი ურთიერთობები და კანონები აქვს და მათზე გვერდის ავლა სარგებლის მომტანი ვერ იქნება. ჰიპოკრატეს ფიცის ერთგული, ყველასთან მიმართებაში თანამდგომი, ზოგჯერ დამთმობი, ჭეშმარიტი სარწმუნეობის მიმდევარი, მიმტევებელიც უნდა იყო. მოლოდინი გვაქვს და ამომრჩეველთა მხარდაჭერით თვითმმართველობის ორგანოებში „ქართული ოცნება“ და „ხალხის ძალა“ კვლავ უმრავლესობით იქნება წარმოდგენილი.

- პოლიტიკა, ადამიანების ჯანმრთელობის სამსახურში ყოფნა ოჯახისთვის დროს რამდენად გიტოვებთ?

- ოჯახი ჩემთვის ყველაზე დიდი საუნჯეა. მეამაყება, რომ სიყვარულსა და სათნოებაზე დაფუძნებული ოჯახი მყავს, ქალ-ვაჟს ვზრდით. მოწოდებულნი და მოვალენი ვართ, შვილები წინაპრების ტრადიციებზე იზრდებოდნენ. ჯერჯერობით ასეცაა და იმედია, მშობლებსა და შვილებს სიცოცხლის ბოლომდე გაგვყვება. სურვილი მქონდა, ოჯახის სიწმინდის დაცვაზე ჩემი პოზიცია დამეფიქსირებინა და საამისო შესაძლებლობა თქვენმა შეკითხვამ მომცა. მისასალმებელია, რომ წელს, პირველად, 17 მაისი უქმეა - ოჯახის სიწმინდის დღეს საყოველთაოდ აღვნიშნავთ. აჭარის მთიანეთში ოჯახის დაშლა იშვიათობა იყო და დიდ ცოდვად ითვლებოდა. ეს წესი ყველაზე მეტად ახლაა დასაცავი, როცა ერთეულები ცდილობენ ქალის ქალზე გათხოვება და კაცის კაცზე დაქორწინება ჩვეულებრივ ამბად მოგვაჩვენონ. მჯერა, უფლის ნებითა და გონიერი მამულიშვილების მოქმედებით ყველა პრობლემას მოვერევით.

მე და გაზეთი „აჭარა“

იოლი არაა, მაგრამ ნამდვილად საპატიოა, 48 წელი გაატარო ჟურნალისტად, აქედან 38 წელი - გაზეთ „აჭარაში“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული შუახევის რაიონულ გაზეთ „დროშის“ რედაქტორის მოადგილე ვიყავი, როცა (1988 წლის აპრილს) მაშინდელი „საბჭოთა აჭარის“ (შემდგომში „აჭარის“) საკუთარ კორესპონდენტად გადმომიყვანეს. ეს გაზეთის მაშინდელი რედაქტორის, ბატონ ვახტანგ წულუკიძის, ჟურნალისტების სერგო კაკაურიძისა და გივი თურმანიძის დამსახურება იყო. კორესპონდენტის ვაკანსია რომ გაჩნდა, მთიანი აჭარის ერთ-ერთი რაიონის ხელმძღვანელი რეკომენდაციას სხვას უწევდა, მაგრამ ბატონი ვახტანგის პრინციპულმა პოზიციამ - ჟურნალისტი მჭირდება და არა დოკუმენტების გადამწერიო, თავისი გაიტანა.

ბატონი ვახტანგი პედაგოგიური საქმიანობით მიცნობდა. მასწავლებლად მუშაობა 17 წლისამ დავიწყე, ათი წლის შემდეგ კი უკვე შუახევის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორად გადმომიყვანეს. იმხანად ბატონი ვახტანგი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების მინისტრი იყო. მისი დამოკიდებულება საქმის მცოდნე ახალგაზრდებისადმი ჩემთან დამოკიდებულებაშიც აისახა. იმასაც ვიტყვი, რომ ბატონი ვახტანგით დაწყებული და ქალბატონ მარინა მითაიშვილით დამთავრებული, ყველა რედაქტორთან მეგობრულ-კოლეგიალური დამოკიდებულება მქონდა და მაქვს. ვახტანგ წულუკიძე, ალექსანდრე სამსონია, ნუგზარ ჯაფარიძე წუთისოფელში აღარ არიან. უფალმა ზეციურ სამყოფელში ნათელი დაუმკვიდროთ.

მეამაყება და თავს ბედნიერად მივიჩნევ, რომ რიგი შემოთავაზებისა და თუნდაც წინააღმდეგობების მიუხედავად, საყვარელ და ახალგაზრდობიდანვე სასურველ პროფესიას - ჟურნალისტობას, სათაყვანებელ გაზეთ „აჭარასთან“ ურთიერთობას ვერ ჩამომაცილეს. მხედველობაში მაქვს ის დრო, როცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“

ლიდერებმა ჯერ იყო და, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს აჭარაში პრესის ფლაგმანის, გაზეთ „აჭარის“ არსებობა. რედაქციიდან ჟურნალისტების უმრავლესობა ხელაღებით გაათავისუფლეს, თუმცა იმ პერიოდშიც გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ჩემი საქმიანობისა და პროფესიონალიზმის მიმართ ყურადღება გამოიჩინეს. სამდურავს ვერ ვიტყვი გაზეთის მაშინდელი რედაქტორის დავით ჩხარტიშვილის მისამართით. მასთან ერთი შეხვედრაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ რედაქციაში ადრინდელი პოზიცია შემენარჩუნებინა. რედაქტორისგან დადებითი შეფასებებიც არ მომკლებია.

რაა ჩამთვის გაზეთი „აჭარა“? ეს კითხვა მრავალჯერ წამოჭრილა და პასუხიც უმალვე მზად მქონია - „აჭარა“ ჩემთვის ის გარემოა, რომელმაც ადამიანებთან კეთილ და საქმიან ურთიერთობებს მაზიარა. განა იქნება იმაზე დიდი სითბო და სიხარული, სტატიის გმირი გაზეთით ხელში რომ გეახლება და მადლობას გეტყვის ან კიდევ - ოჯახში სტუმრობისას წიგნების თაროზე შემონახულ გაზეთს რომ ჩამოიღებენ და შენს წერილს გაჩვენებენ. ხშირად ვამბობ, რომ გაზეთში მომუშავე ჟურნალისტის სიმდიდრე ადამიანებთან ურთიერთობაა, რაც უფრო და უფრო გამდიდრებს. გაზეთმა „აჭარამ“ შემომატარა საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭული, არაერთი რთული პერიოდის მომსწრე და მონაწილეც ვყოფილვარ - რევოლუციები, 2008 წლის აგვისტოს ომი და შემდგომი პროცესები, კოდორის ხეობაში განვითარებული მოვლენები, 1989 წლის 9 და 19 აპრილი, ამის შემდგომ აჭარის მთიანეთში არსებული მდგომარეობა, ისიც, რომ ქედის რაიონის გამგებელ დავით ტაკიძესთან ერთად ქართლში მყოფნი ბრმა ტყვიებს ძლივს გადავურჩით, ან კიდევ, ხულოელ თემურ ბოლქვაძესთან ერთად კოდორის ხეობიდან თვითმფრინავით მომავლები ავტოავარიას კინაღამ შევეწირეთ.

წლებს თავისი გააქვს. კოლეგები: ეთერ ხომერიკი, ავთანდილ ვადაჭკორია, მანანა ძიძიშვილი, რომლებიც ათწლეულებია ჩემთან ერთად ემსახურებიან გაზეთს, დამერწმუნებიან, რომ იშვიათად ვსარგებლობ კუთვნილი შვებულებით, რადგან არ მინდა, ჩამოვრჩე იმ მოვლენებსა და პროცესებს, რაც აჭარის მთიანეთშია. ფოტოკამერა (10 გამოვიცვალე) და დიქტოფონი ყველგან თან დამაქვს.

„აჭარის“ რედაქციაში მუშაობა ჩემთვის მოწოდებაა. უკვე ჩვეულებად მექცა ფიქრი იმაზე, თუ რა, როდის და როგორ დავწერო, რომ მომდურავი ნაკლები მყავდეს, თუმცა ესეც ცხოვრების თანმდევია - როცა საქმეში სამართლიანობას მისდევ და საზოგადოებისთვის სასიკეთოდ ირჯები, არ არის გასაკვირი, უკმაყოფილოც დაგრჩეს ვინმე. გაზეთი ხომ საინტერესოდ უნდა იკითხებოდეს და საუკუნეზე მეტი ისტორია ახალი შენაძენებით მდიდრდებოდეს.

„აჭარის“ მრავალწლიან ისტორიასთან დაკავშირებით ერთი ფაქტი მსურს გავიხსენო: შუახევის რაიონის სოფელ ოქროპილაურში მისასვლელი ხიდის გახსნის ცერემონიას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძე, საქართველოს მთავრობის წევრები ესწრებოდნენ. საჯაროდ განვაცხადე, რომ გაზეთს დაარსებიდან საუკუნოვანი იუბილე უახლოვდებოდა. ამ განაცხადს ყველა მიესალმა და რეგიონის პირველ პირს თხოვეს: ამ ხნისა და ისტორიის გაზეთი უნდა შევინარჩუნოთო. გაზეთს რეგიონის ხელმძღვანელების ყურადღება და თანადგომა არ აკლია, მაგრამ ხალხის თანადგომა და კეთილი სურვილები მაინც განსაკუთრებულად სასიამოვნოცაა და საამაყოც.

ვულოცავ ჩემს კოლეგებს ჩვენი გაზეთის 104 წლისთავს, წარმატებებს და ნაყოფიერ საქმიანობას ვუსურვებ. თითოეულს კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ ჩვენი ვალია, ვიყოთ ამ გაზეთის, საზოგადოების სამსახურში და მკითხველამდე მართალი სიტყვა მივიტანოთ.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

მთავარი მიზანი – განათლებაში ბიბლიოთეკების როლი უნდა გაიზარდოს

მარიამ ხითარიშვილი 568 39 39 33

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი მარიამ ჩხაიძე პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს გამარჯვებულია. მან ჯილდო ნომინაციაში „წლის პროფესიული განათლების სტუდენტი“ მოიპოვა

მარიამი ბსუ-ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბიბლიოთეკო საქმე“ წარმატებული სტუდენტია, აქტიურად მონაწილეობს ეროვნული ბიბლიოთეკის პროექტებსა და საერთაშორისო საგრანტო აქტივობებში. 2012 წლიდან აცანის სასოფლო ბიბლიოთეკაში მუშაობს და მისი ძალისხმევით ბიბლიოთეკა სოფლის მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად იქცა. პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს ყოველწლიური კონკურსი 2017 წლიდან იმართება და მისი მიზანია პროფესიული განათლების, როგორც ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერების მნიშვნელოვანი კომპონენტის, განვითარება და პოპულარიზაცია.

- მარიამ, მოგვიყევით თქვენ შესახებ...

- 2011 წელს წარჩინებით დავამთავრე წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, გერმანული ენა და ლიტერატურა. 2012 წლიდან ვმუშაობ ლანჩხუთის რაიონის სოფელ აცანის სასოფლო ბიბლიოთეკაში კომპიუტერის პროგრამების სპეციალისტად და ბიბლიოთეკარად. 2012 წლიდან ვარ აცანის ეკლესია-მონასტრებში მედავითნე. ვმონაწილეობ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის და საბიბლიოთეკო ასოციაციის ტრენინგებსა და პროექტებში, ასევე, სხვადასხვა საერთაშორისო და საგრანტო პროექტში. 2017 წელს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის და საერთაშორისო კვლევებისა და გაცვლების საბჭოს (**IREX**) ორგანიზებით, ჩემზე და აცანის ბიბლიოთეკაზე გადაიღეს ვიდეორგოლი, რომელიც განთავსდა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის და საერთაშორისო კვლევებისა და გაცვლების საბჭოს (IREX) ვებგვერდებზე. 2021 წელს სასწავლო ვიზიტით ვიმყოფებოდი ბულგარეთში „ჩიტალიშტე“ ბიბლიოთეკებში. ჩვენმა ბიბლიოთეკებმა გავაფორმეთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. ვახორციელებთ ერთობლივ აქტივობებს ბულგარელ პარტნიორებთან ერთად. 2023 წელს მივიღე მონაწილეობა ორ საგრანტო პროექტში. საბედნიეროდ, ორივე პროექტმა მოიპოვა გრანტი და შედეგად განვაახლეთ აცანის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი. 2024 წელს სასწავლო ვიზიტით ვიმყოფებოდი ლატვიაში და მონაწილეობა მივიღე საზაფხულო სკოლის პროექტში სახელწოდებით „ევროპა დიალოგისთვის: განათლებისა და კულტურის სფეროში გამოცდილების

ურთიერთგაცვლა“.

- რატომ აირჩიეთ ეს პროფესია?

- მსურდა, ძირფესვიანად შემესწავლა ეს პროფესია. ჩემი მიზანია, მიღებული ცოდნა და გამოცდილება მაქსიმალურად გამოვიყენო ჩემი სოფლის და რეგიონის ბიბლიოთეკების გასაუმჯობესებლად. გურიის რეგიონში ვარ მენტორი ბიბლიოთეკარი. საკუთარი მიზნის მისაღწევად, პრაქტიკული საქმიანობით ვცდილობ მიღებული თეორიული ბაზისის შევსებას. საბიბლიოთეკო საქმის შესწავლა ჩემთვის არის გზა, რომელიც მაძლევს შანსს, ვიყო ცოდნის, კულტურისა და ინოვაციის გამავრცელებელი. ეს სფერო ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესოა, რადგან საშუალებას მაძლევს, გავაერთიანო ჩემი ინტერესები და ვემსახურო საზოგადოებას.

- ბსუ-ის კონკურსში როგორ აღმოჩნდით?

- კონკურსში აღმოვჩნდი ბსუ-ის პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის, ქალბატონ მადონა მიქელაძის მეშვეობით, უდიდეს მადლობას ვუხდი მას ამ უნიკალური შესაძლებლობისთვის.

- გამარჯვებისას რა ემოცია დაგეუფლათ?

- სიმართლე რომ ვთქვა, გამარჯვებას არ ველოდი, თუმცა, რა თქმა უნდა, მჭონდა იმედი. კონკურსში მონაწილეობა თავისთავად დიდი პატივი იყო ჩემთვის, რადგან ვიცოდი, რამდენად ნიჭიერი და მონდომებული ადამიანები მონაწილეობდნენ მასში. გამარჯვებულად რომ გამომაცხადეს, წარმოუდგენელი შეგრძნება დამეუფლა. ეს იყო, ერთდროულად, აღტაცება, მადლიერება და მოტივაცია კიდევ უფრო მეტის საკეთებლად. ამ ჯილდომ გამიძლიერა რწმენა, რომ სწორი გზით მივდივარ და ჩემი შრომა ფასდება. ეს ემოცია მაძლევს სტიმულს, გავაგრძელო განვითარება, გავუზიარო ჩემი ცოდნა სხვებს და კიდევ უფრო დიდი მიზნები დავისახო. „წლის პროფესიული განათლების სტუდენტის“ წოდება ჩემთვის არ არის მხოლოდ წარმატების აღნიშვნა. ეს არის ახალი პასუხისმგებლობა, რომელიც მავალდებულებს, ვიყო პროფესიული განათლების ელჩი. მჯერა, რომ ამ ტიტულით სხვებსაც შთავაგონებ, რომ განათლებითა და მონდომებით ნებისმიერი მიზნის მიღწევა შესაძლებელია.

- ეს გამარჯვება ბსუ-ის უნივერსიტეტის დამსახურებაა თუ თქვენი შრომის შედეგია?

- ეს გამარჯვება მხოლოდ ჩემი არ არის, ჩემი შრომისა და ბსუ-ის უნივერსიტეტის მხარდაჭერის შედეგია. როგორც აღვნიშნე, ქალბატონმა მადონა მიქელაძემ შემარჩია და დამასახელა კონკურსისთვის, რაც დიდი ნდობა და მხარდაჭერა იყო. კიდევ ერთხელ, მადლობას ვუხდი მას, ასევე, ჩემს ლექტორებს, რომლებიც არა მხოლოდ ცოდნას გვიზიარებენ, არამედ გვაძლევენ სტიმულსა და თავდაჯერებულობას, რომ ყოველთვის ვისწრაფოთ მეტი განვითარებისკენ. მათი გამოცდილება და რჩევები ჩემთვის ყველაზე დიდი გზამკვლევია ამ პროცესში.

- როგორც გვითხარით, წინა წელს ლატვიის საზაფხულო სკოლაში იმყოფებოდით, მოგვიყევით ამ პერიოდზე...

- ლატვიის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ევროკავშირის დაფინანსებით განახორციელა საზაფხულო სკოლა სახელწოდებით „ევროპა დიალოგისთვის: განათლებისა და კულტურის სფეროში გამოცდილების ურთიერთგაცვლა“, რომლის ფარგლებშიც საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკამ საქართველოს რვა რეგიონალურ ბიბლიოთეკას გაუწია რეკომენდაცია პროექტში მონაწილეობისათვის. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, გავიარე სწავლება ლატვიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, აგრეთვე ლატვიის რეგიონალურ ბიბლიოთეკებში: სიგულდა, ულბროკა, ოგრი, ვალმიერა. საზაფხულო სკოლის პერიოდში ჩატარდა სემინარები და ტრენინგები თანამედროვე ბიბლიოთეკის ფუნქციონირების, წამყვანი მიმართულებებისა და მუშაობის სპეციფიკის შესახებ. შეხვედრები იყო შინაარსობრივად დატვირთული, დისკუსიები - აქტიური და ყოველი დღე - რეზონანსული.

- როგორც ვიცით, აცანის ბიბლიოთეკაში ახალი ინიციატივები დანერგეთ...

- აცანის ბიბლიოთეკაში ახალი ინიციატივების დანერგვის იდეა რამდენიმე ფაქტორმა წარმოშვა. ერთ-ერთია ბიბლიოთეკის როლის გააქტიურება საზოგადოებაში, მინდოდა, რომ ბიბლიოთეკა მხოლოდ წიგნების საცავი არ ყოფილიყო, არამედ განათლების, კულტურისა და საზოგადოებრივი ჩართულობის ცენტრად ჩამოყალიბებულიყო. მეორე ფაქტორი იყო ადგილობრივი საჭიროებების ანალიზი - გავიაზრე, რომ ბიბლიოთეკის მომხმარებლებს უფრო ინტერაქტიული და თანამედროვე სერვისები სჭირდებოდათ, რომლებიც მათ განათლებასა და თვითგანვითარებაში დაეხმარებოდა. მესამეა პროფესიული განათლების გავლენა - ბიბლიოთეკარობის პროფესიული შესწავლა საშუალებას მაძლევს, უფრო კარგად დავინახო, როგორ შეიძლება ბიბლიოთეკამ ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დახმარებით ახალი ფუნქციები შეიძინოს. დაბოლოს - ეროვნული ბიბლიოთეკისა და საბიბლიოთეკო ასოციაციის ტრენინგებსა და პროექტებში მონაწილეობა - ამ აქტივობებმა უფრო გამიმძაფრა სურვილი, ადგილობრივ დონეზე საინტერესო პროექტები წამომეწყო. ამ ყველაფერმა ერთობლივად განაპირობა ინიციატივები, რომლებიც აცანის ბიბლიოთეკაში დავნერგე.

- სულიერი ზრდისთვის რას აკეთებთ? როგორც თქვით, მედავითნე ხართ...

- სულიერი ზრდისთვის რამდენიმე მიმართულებით ვმუშაობ, რადგან მჯერა, რომ თვითგანვითარება არა მხოლოდ პროფესიულ, არამედ სულიერ და კულტურულ მხარესაც მოიცავს. მედავითნეობა სულიერი ზრდის ერთ-ერთი საუკეთესო გზაა, ის ყოველდღიურობაში სიწმინდეს, სიმშვიდესა და სულიერ სიმტკიცეს აძლიერებს. წიგნები ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია. საკუთარი აზრების და იდეების სხვადასხვა ფორმით გამოხატვა, იქნება ეს წერა, პროექტებზე მუშაობა თუ ბიბლიოთეკაში ინოვაციური მიდგომების დანერგვა - ჩემი სულიერი ზრდის ნაწილია. მნიშვნელოვანია, ადამიანებთან ღრმა და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობები. სხვადასხვა სფეროს საინტერესო პიროვნებებთან კომუნიკაცია ხშირად შთამაგონებს და მაძლევს მოტივაციას. ბუნებაში დროის გატარება მეხმარება გონებრივი და ემოციური ბალანსის შენარჩუნებაში. მჯერა, რომ შინაგანი სიმშვიდე წარმატების და ბედნიერების აუცილებელი ნაწილია.

- როგორია თქვენი ერთი დღე?

- ჩემი ერთი დღე საკმაოდ დატვირთულია. ვცდილობ, დრო სწორად გავანაწილო, რომ სწავლა, მუშაობა, სულიერი ცხოვრება და პირადი განვითარება ერთმანეთს დავუკავშირო. მუდმივად ვცდილობ განვითარებას და ახალი შესაძლებლობების ძიებას.

- რა არის წარმატების საწინდარი?

- ის მრავალი ფაქტორით განისაზღვრება - არის შრომის, მიზანდასახულობის, სწორი მიდგომის, მოტივაციის, დისციპლინისა და გაბედული ნაბიჯების შედეგი.

- კიდევ რომელი სფერო გიზიდავთ?

- გაისად ვაპირებ, ისევ პროფესიულ სასწავლებელში ჩავაბარო კომპიუტერული პროგრამირების განხრით. მისი ცოდნა ნებისმიერ სფეროს განვითარებისთვის დიდ შესაძლებლობებს აძლევს.

- როგორია თქვენი გეგმები?

- ჩემი მთავარი მიზანია, გავაძლიერო ბიბლიოთეკების როლი განათლებაში და გავზარდო საზოგადოებრივი ჩართულობა. მომწონს თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირება ბიბლიოთეკებში და მინდა ვიმუშაო ინოვაციურ პროექტებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს ბიბლიოთეკების განვითარებას.

შეხვედრა – მწერალ ქალბატონებთან

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

აჭარის მწერალთა სახლში ქალთა დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო გაიმართა, რომელზეც, ძირითადად, მწერალი ქალბატონები, მათი მკითხველები, მეგობრები, ასევე, ბათუმის მეცხრე საჯარო სკოლის უფროსკლასელები (ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი ნატო შაინიძე) იყვნენ მოწვეულები

როგორც მწერალთა სახლის დირექტორმა ლალი კონცელიძემ აღნიშნა, ობიექტური მიზეზების გამო, მარტის დღესასწაულებს ვერ შეეხმიანნენ, მაგრამ არ სურდათ, ქალბატონები უყურადღებოდ დაეტოვებინათ და აღნიშნული საღამო მოაწყვეს, რომელსაც სიმბოლურად „და გაზაფხულებს შევხვდებით ერთად...“ უწოდეს. ეს იყო ერთად ყოფნის, თანამოაზრეობის, ერთმანეთის მიმართ პატივისცემის გამოხატვის კარგი შესაძლებლობა.

შეხვედრის პირველ ნაწილში ლალი კონცელიძემ და მწერალმა ჯემალ სურმანიძემ შარშან გამოცემული ათი წიგნი წარადგინეს, რომელთა შორისაა ვახტანგ ღლონტის (მასში შესულია როგორც ახალი, ისე ძველი ლექსები), ბელა ქებურიას (სადაც 12 ენაზე თარგმნილი ლექსებია დაბეჭდილი, რაც პოეტს შესაძლებლობას აძლევს, საკუთარი შემოქმედება უცხოეთშიც გაიტანოს), ასევე, დავით თედორაძის ლექსების კრებულები. მწერალთა სახლმა გააგრძელა ტრადიცია და საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ამ სერიით ორი წიგნი გამოსცა - ფრიდონ ხალვაშის „გენაცვალე“ და ნანა გვარიშვილის „მზის მანდილი“. დაიბეჭდა, ასევე, მცირე ფორმა-

ტის წიგნები - ინგა გოგიბერიძის „მინიატურები“ და ქეთევან გიორგაძის ლექსების კრებული... განსაკუთრებულად წარადგინეს აჭარაში მოღვაწე ქალ პროზაიკოსთა კრებული სახელწოდებით „არმაღანი“, რომელშიც თერთმეტი საუკეთესო ნაწარმოები შევიდა.

- მნიშვნელოვანია, რომ „არმაღანში“, სხვა ცნობილ ავტორებთან ერთად, ყველასთვის ნაკლებად ცნობილ ახალგაზრდა მწერალ ნინი ჩხარტიშვილის ნაწარმოები დაიბეჭდა. მის შემოქმედებას უკვე გაეცნო მკითხველი - პირველად ის ჟურნალ „ჭოროხში“ დავბეჭდეთ და დარწმუნებული ვარ, მისი სამწერლო მომავალი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება მკითხველისთვის. გარდა იმისა, რომ ნიჭიერია, საინტერესოდ წერს, ასეთი წერის კულტურა ნამდვილად დასაფასებელია. ასევე, გამოვეცით ფრიდონ ხალვაშის სახელობის სტიპენდიის მოსაპოვებელი კონკურსის მასალები, სადაც შესულია როგორც პოეტური, ისე პროზაული ნაწარმოებები, სხვათა შორის, მასში თხუთმეტ ავტორს შორის ნინი ჩხარტიშვილის ნაწარმოებიცაა შესული, - თქვა ლალი კონცელიძემ.

მეორე ნაწილი ბათუმის მეცხრე საჯარო სკოლის მოსწავლეებს დაეთმოთ, რომელთაც მოამზადეს პროექტი - „ჩემს გაკვეთილზე“. ეს საინტერესო პროექტია, სადაც მოსწავლეები ბათუმელი მწერლების შემოქმედებას ეცნობიან. პროექტის ფარგლებში შესწავლილი ლექსები მათ ემოციურად წაუკითხეს შეკრებილებს. ასევე, თავიანთი შემოქმედებითი ნიჭი ცეკვით და სიმღერითაც წარმოადგინეს.

- დღეს საინტერესო და ძალიან ლამაზი საღამოს მონაწილენი გავხდით - ლიტერატურული კომპოზიცია, რომელიც პროექტით „ჩემს გაკვეთილზე“ არაფორმალური განათლების ფარგლებში მომზადდა, მნიშვნელოვნად ავსებს ფორმალურ განათლებას. პროექტი მეორე წელია აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ინიციატივით და ხელშეწყობით ხორციელდება. ეს არის ახალი უნარებისა და შესაძლებლობების წარმოჩენის მოტივაცია. მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ მწერლის სახლმა სხვადასხვა ავტორის არაერთი კრებული გამოსცა, სადაც როგორც ჩვენთვის საყვარელი მწერლების, ისე ახალგაზრდების შემოქმედება იყო წარმოჩენილი. კულტურის სამინისტროს აქვს ახალი მიდგომები და ხედვა, თუ როგორ ჩავრთოთ აქტიურად მოსწავლეები, სკოლები კულტურულ ღონისძიებებში, ჩვენს პროექტებში, ამ მიმართულებით მალე კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგმება, - თქვა აჭარის კულტურის მინისტრის მოადგილე ირმა აბულაძემ.

- აჭარის განათლების სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტის „ჩემს გაკვეთილზე“ მიზანია, მოსწავლეებს გავაცნოთ ჩვენი თანაქალაქელი პოეტების შემოქმედება, რომელთა ნაწარმოებებიც, სამწუხაროდ, სკოლაში არ ისწავლება. სასიხარულოა, რომ დღეს მწერალთა სახლში მოგვიწვიეს და თავად პოეტებს წავუკითხეთ ლექსები, - გვითხრა ნატო შაინიძემ.

- მწერალთა სახლი არის ლიტერატურული პროცესების ავანგარდში და სასიხარულოა, რომ საღამოზე მოიწვიეს ის მომავალი თაობა, რომელმაც ხვალ და ზეგ ლიტერატურულ ასპარეზზე უნდა შემოაბიჯოს. დღეს წარმოდგენილი პროექტი არის კიდევ ერთი შესანიშნავი მაგალითი იმისა, თუ როგორ შემოდის სკოლა მწერალთა სახლში. მე-9 საჯარო სკოლას ხვალ და ზეგ სხვა სკოლებმა უნდა მიბაძონ და ლიტერატურა და პოეზია ისე უყვარდეთ, როგორც ამ მოსწავლეებს უყვართ. ყველაზე მთავარი, რამაც მომხიბლა, იყო ის, რომ ლექსს ყველა ზეპირად კითხულობდა. სამწუხაროდ, დღევანდელ სკოლაში ბავშვებს და მასწავლებლებს არ მიაჩნიათ საჭიროდ, ქართული პოეზიის შედევრები ისწავლონ. მადლობა მწერალთა სახლს - დღეს ჩვენი წიგნების წარდგენაც იყო, რითაც საზოგადოებამ გაიგო ახალი წიგნების გამოცემის შესახებ, - გვითხრა ბელა ქებურიამ.

„ჩემი მეოხი ჭირშიც და ლხინშიც პოეზიაა“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

***თინა შიოშვილი** - ინტელექტით, სიკეთით, ნიჭიერებით გამორჩეული ეს ქალბატონი არა მარტო ბათუმში, არამედ სრულიად საქართველოში ცნობილი და დაფასებული პიროვნებაა*

შთამბეჭდავია მისი საქმიანობის ქრონიკა: წარმატებული მეცნიერი და მწერალი, ფოლკლორის აღიარებული მკვლევარი, სტუდენტთა უსაყვარლესი ლექტორი, 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და არაერთი მონოგრაფიის ავტორი, უკარგესი მთარგმნელი... ქალბატონი თინა თავისი ცხოვრების წესითაც სამაგალითოა - მეუღლე, დედა, ბებია, ნამდვილი დარბაისელი ქართველი ქალი თავისი საინტერესო სულიერი სამყაროთი უთუოდ მიგიზიდავთ. მაშ, დავემგზავროთ ქალბატონ თინას ფიქრების ბილიკებზე.

- თქვენი ცხოვრება რომ წიგნი იყოს, რა სათაური ექნებოდა?

- ალბათ, „ჩემი მეგზური პოეზიაა“ ან „ლექსით სნეული“ ექნებოდა სათაურად, შეიძლება, სხვა ამდაგვარი, მაგრამ ლექსი ჩემი ცხოვრების თანმდევი, მშველელი და მოძღვარი იყო ღრმა ბავშვობიდან და ახლაც ასეა. რაც ენა ავიდგი და რასაც მახსოვრობა სწვდება, ყველა, იქნებოდა ეს ოჯახის წევრი თუ ნათესავი, ლექსებს მასწავლიდა. გარშემომყოფთ მოსწონდათ ჩემი დეკლამატორობა და

„ადამიანს, როგორც უფლის უზენაეს ქმნილებას, უფლის ხატს და, იმავდროულად, სოციალურ არსებას სიკეთისადმი ორიენტირებული თვისებანი მოეთხოვება, თუმცა უმთავრესი, ჩემი აზრით, მაინც გულისხმიერება, გულმოწყალებაა, რაც დღევანდელ სოციუმში აგრერიგად იშვიათად გვხვდება... ეს კი, სამწუხაროდ, ბედნიერებანაკლულობით გამწარებულთა უმცირეს ნაწილსა და გაზულუქებულთა უმრავლესობას ახასიათებს“

მორგებულადაც „გამრჯიდნენ“ ხოლმე სხვადასხვა პურობისას. ადრე დიდი თუ მცირე ნადიმი ხომ რესტორნებში არ იმართებოდა, ოჯახებში იშლებოდა სუფრა და რომ ამბობენ, ქართული სუფრა აკადემიააო, ასეც იყო. ერთ რამედ ღირდა ოჯახის წევრების, ნათესავების, მეგობრების შეხვედრები ყოველ დღესასწაულსა თუ დაბადების დღეზე, სადაც ყველა მღეროდა, ცეკვავდა, ლექსობდა, საოცარი სადღეგრძელოები ითქმებოდა... მეც, სხვა ბავშვებთან ერთად, ამ ზეიმების მოწმე და მონაწილე ვიყავი ჩემი ლექსებით და მიხაროდა, როცა მაქებდნენ... ყველაფერი კი დიდი ილიას ფორმით პატარა, მაგრამ უდიდესი ჰუმანიზმით აღსავსე ლექსით დაიწყო, რომელიც დედამ წამიკითხა:

კაცად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად დარგე:
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო,
აბა, დღეს მე ვის რა ვარგე?

ლექსი მომეწონა, უცებ დავიზეპირე და მერე ყველასთან მივარბენინებდი იმ წიგნს - ილია ჭავჭავაძის ვეებერთელა ერთტომეულს, ძლივს რომ ვძრავდი, რათა ახლა სხვა წაეკითხათ. ასე ვისწავლე ილიას „გაზაფხული“, „გიყვარდეს“ და ზოგიერთი, უფროსებისაგან შერჩეული სტროფი ვრცელი ლექსებიდან. მერე იყო აკაკის „სულიკო“ და სხვები... რაკი ლექსებისადმი ჩემი სიყვარული ესოდენ მყარი აღმოჩნდა, წაკითხვის მსურველები კი თანდათან მეფანტებოდნენ სხვადასხვა საქმის გამო, საოჯახო თათბირზე გადაწყვიტეს, წერა-კითხვა ესწავლებინათ ჯიუტი გოგონასთვის. ასე რომ, ხუთი წლისა აღარავის ვეხვეწებოდი, ჩემთვის ლექსები წაეკითხათ და სამარადჟამოდ დავუმეგობრდი წიგნებს... მახსოვს, 6 წლისას პაპამ რაფიელ ერისთავის მოზრდილი ერთტომეული მიყიდა და წარწერით მაჩუქა. სიხარულით აღარ ვიყავი. დღემდე სათუთად ვინახავ ამ წიგნს. ჩემმა მეგობრებმა და ნათესავებმა იციან, რომ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი საჩუქარი წიგნია. ძალიან მიყვარს, აგრეთვე, დიდებული ანა კალანდაძის ლექსთა ბოლო, 2004 წელს დაბეჭდილი კრებული, რომელსაც ავტორისეული წარწერა ამშვენებს და, უკვე ბათუმელს, დიდი სასოებით ჩამომტანა ჩემმა მეგობარმა შუქია აფრიდონიძემ. ილია ჭავჭავაძის ღირსსახსოვარი პერსონაჟი ოთარაანთ ქვრივი გარდაცვლილ მეუღლეზე ამბობს: ჭირიცა და ლხინიც სულ სიმღერით იცოდაო. ჩემი მეოხი ჭირშიც და ლხინშიც პოეზიაა.

- როგორი იყო თქვენი განვითარებისა და გაცნობიერების გზა?

- განვითარება (გონებრივ და სულიერ განვითარებას ვგულისხმობ, ფიზიკურ განვითარებაზე გენეტიკა, შემდგომ მშობლები და ზრდასრულობისას, მეტ-ნაკლებად, თავადვე ვზრუნავ, თუმცა მასაც, ალბათ, ბევრად განაპირობებს გონებრივი და სულიერი საგზალი) სამყაროს შეცნობიდან და ამ სამყაროში შენი არსებობის, შენი სოციუმის გაცნობიერებიდან იწყება უთუოდ. ჩემი გზაც, ჩვეულებისამებრ, ჯერ ოჯახს, შემდეგ სკოლას და იმ საოცნებო თეთრ ტაძარს უკავშირდება, დიდი ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტი რომ ჰქვია. ყველგან მიმართლებდა, საოცარი გამზრდელ-აღმზრდელები მყავდა და მაინც, ისიც უნდა ითქვას, რომ თავად პიროვნებაზეც, მის ბუნებით მონაცემებზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული, „...მარტო წვრთნა რას იზამს, თუ ბუნებამც არ უშველა“. აი, ეს ბუნებითი სიკეთეები - სოციუმი თავისი ტრადიციებითა და ირგვლივ მყოფთა დიდაქტიზმი, განმტკიცებული უსათუოდ პირადი მაგალითებით, ბოლოს კი, როგორც ყველაფრის გვირგვინი - წიგნი, კაცობრიული სულიერი კულტურის შენახვისა და კვლავწარმოების ღვთივბოძებული, შეუცვლელი განძი.

- რა სიახლეები გაქვთ?

- ჩვენთან ბევრი სამეცნიერო სიახლეა. მოგეხსენებათ, ჩვენი უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი, პროფესორ მამია ფაღავას ხელმძღვანელობით, ორ ათეულ წელზე მეტია, კომპლექსურად ვსწავლობთ ჭოროხის აუზის ქვეყნებს, ფაქტობრივად - დღეს თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფ ისტორიული საქართველოს რეგიონებს. შოთა რუსთაველის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო ფონდის კონკურსებში გამარჯვებული პროექტების ფარგლებში, უკვე შევისწავლეთ შავშეთი, კლარჯეთი, ტაო და, შესაბამისად, გამოვაქვეყნეთ სოლიდური მონოგრაფიები, რომლებსაც დიდი რეზონანსი აქვს როგორც სამეცნიერო წრეებში, ისე - ფართო საზოგადოებაში. აქვე თავსაც მოვიწონებ: მონოგრაფიისათვის „კლარჯეთი“ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ დიდი ივანე ჯავახიშვილის პრემიით დაგვაჯილდოვა ავტორები. ჭოროხის აუზის კვლევას კვლავაც ვაგრძელებთ. შარშან იმავე ფონდის კონკურსში გაიმარჯვა ჩვენმა პროექტმა „სპერი - ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა“ და აგვისტოში უკვე პირველი ექსპედიციაც გვქონდა ამ უძველეს ქართულ რეგიონში, რომელიც თითქმის 5 საუკუნეა, რაც ოსმალეთმა წაგვგვარა. სამწუხაროდ, სპერელებმა დღეს ქართული აღარ იციან. მუშაობაში გვეხმარებოდნენ მაღალკვალიფიციური აღმოსავლეთმცოდნეები: ბსუ-ის პროფესორები ზაზა შაშიკაძე და ლია ჭყონია, რიზეს რეჯეფ თაიფ ერდოღანის უნივერსიტეტის პროფესორი გულ მუქქერემ ოზთურქი. მოპოვებულმა მასალამ მოლოდინს გადააჭარბა. უკვე დავამუშავეთ რამდენიმე თემა და სულ მალე დაინტერესებული საზოგადოებაც იხილავს. 2025 წელს ხელდამშვენებული შევხვდი - დაიბეჭდა ჩემი მონოგრაფია „მუჰაჯირების ფოლკლორი“ და ომარ ხაიამის „რობაიები“, ვმუშაობ ახალ მონოგრაფიაზე „დედა - ქართულ ფოლკლორში“.

- როდის გრძნობთ თავს ბედნიერად?

- ბედნიერება, ჩემი აზრით, მაინც, პიროვნითია. ბედნიერების მარადიული განცდა არ არსებობს, არც რაიმე რეცეპტი შეუქმნია კაცობრიობას. ეს გრძნობა ძალზე პირადულია... ცხოვრება შუქ-ჩრდილებითაა დახუნძლული... ჩემთვის ბედნიერებაა მიზნის მისაღწევი გარჯა და ამ გარჯის დაგვირგვინება, მიზნებს კი ჩემისთანა მეოცნებე ადამიანს რა დაულევს!.. ბევრჯერ მიგრძნია თავი ბედნიერად ოჯახის, შვილების, მეგობრების, კოლეგების, სტუდენტების, საყვარელი საქმის გამო. ბედნიერებას მანიჭებს, თუკი ვინმეს სიკეთეს ვუკეთებ, ვახარებ სიტყვითა თუ საქმით... უბედურიც ვყოფილვარ... ამგვარია წუთისოფელი. მინდა, ისე წავიდე ამქვეყნიდან, სამშობლოთი ვიყო ბედნიერი, მინდა, ჩვენი გმირული ისტორიის შესაფერისი აწმყო დაგვიდგეს, მუდმივად არ ვმღეროდეთ, „მომავალი ჩვენია“. ამას ვეჯრები არსთაგამრიგეს.

- ცრემლი სულის სალბუნია თუ...

- დიახ, ცრემლი არის სულის სალბუნი, თუმცა ყოველთვის - არა. არ ღირს ცრემლის ღვრა იქ, სადაც ამ სიწმინდის ღირსად არავის ცნობ. ცრემლი ძალზე ინტიმურია, ყველას ვერ დაანახებ და არც საკუთარი ტკივილისა

„ადამიანს, როგორც უფლის უზენაეს ქმნილებას, უფლის ხატს და, იმავდროულად, სოციალურ არსებას სიკეთისადმი ორიენტირებული თვისებანი მოეთხოვება, თუმცა უმთავრესი, ჩემი აზრით, მაინც გულისხმიერება, გულმოწყალებაა, რაც დღევანდელ სოციუმში აგრერიგად იშვიათად გვხვდება... ეს კი, სამწუხაროდ, ბედნიერებანაკლულობით გამწარებულთა უმცირეს ნაწილსა და გაზულუქებულთა უმრავლესობას ახასიათებს“

თუ წამიერი სისუსტის ცრემლით გამყღავნება მიმაჩნია ადამიანურ სიძლიერედ, თუმცა ამგვარი სისუსტე მეც გამომიჩენია... მე უფრო სინანულის ცრემლს ვცემ პატივს, სინანულისას, რომელიც სულიერად გზრდის და გამაღლებს საკუთარ თავთან.

- ბოდიშის მოხდა, მადლობის გადახდა - ასე ხშირად იქცევით თუ იშვიათად?

- ბოდიშის მოხდა არასოდეს მიჭირს - შეუმცდარი ხომ არავინაა... ხშირად ცამდე მართალსაც კი მომიხდია ბოდიში სიტუაციის განსამუხტავად. ისე, ყოველთვის ვცდილობ, საბოდიშოდ არ გავიხადო საქმე. მადლობა კი ღვთაებრივი სიტყვაა და, მადლობა უფალს, არ მავიწყდება... უმადური ადამიანები ჩემს პატივისცემას არ იმსახურებენ.

- უმთავრესი თვისება ადამიანისა და... ამ თვისებით შემკული ადამიანები ბევრი გეგულებათ?

- ადამიანს, როგორც უფლის უზენაეს ქმნილებას, უფლის ხატს და, იმავდროულად, სოციალურ არსებას სიკეთისადმი ორიენტირებული თვისებანი მოეთხოვება, თუმცა უმთავრესი, ჩემი აზრით, მაინც გულისხმიერება, გულმოწყალებაა, რაც დღევანდელ სოციუმში აგრერიგად იშვიათად გვხვდება... ეს კი, სამწუხაროდ, ბედნიერებანაკლულობით გამწარებულთა უმცირეს ნაწილსა და გაზულუქებულთა უმრავლესობას ახასიათებს.

- ფიქრები რომ დაწეროთ?

- რა ორიგინალური შეკითხვაა!.. ადამიანურ ფიქრთა დიდი ნაწილი უაღრესად ინტიმურია, გამხელას არ ექვემდებარება, მით უფრო - დაწერას, თუმცა ნაწილი ჩვენეული ფიქრებისა გამხელადია და მათი რეალიზებაც ხდება თემატურად, საზოგადოების სათანადო ნაწილში, სათანადო დროსა და ადგილას: ოჯახში, მეგობრებთან, მეუღლესთან, კოლეგებთან, მოწაფეებთან...

- მიტევება შეგიძლიათ?

- მიტევება შემიძლია, შურისძიების გრძნობა ჩემთვის უცხოა, თუმცა ყველა მიტევებულთან ძველებურ ურთიერთობას ვეღარ ვაგრძელებ.

- რაზე იტყოდით - ნეტავ შემეძლოს?

- ბევრი „ნეტავი“ მქონია ცხოვრებაში, განსაკუთრებით - ბავშვობისას და, ბუნებრივია, ახლაც მაქვს. ისე, „ნეტავებიც“ ბერდებიან, ფერებს იცვლიან, ქრებიან კიდეც... თუმცა მაქვს უბერებელი ნეტავი - ჩვენი სამშობლოს გაერთიანება-გაძლიერება, ქართველთა ერთიანობა.

- რას ნატრობთ?

- უმთავრესი ნატვრის თაობაზე უკვე მოგახსენეთ. სხვაც ბევრი მაქვს, ბუნებრივია, თუმცა ერთი რამ მჯერა: ადამიანს ღმერთი აძლევს შესაძლებლობას, ყველა მიწიერ-რეალური ნატვრა აიხდინოს თავდაუზოგავი შრომითა და რუდუნებით - „ეძიებდე და ჰპოვებდე“.

- მოდა და თქვენ...

- მოდის დიდი მიმდევარი არასოდეს ვყოფილვარ, თუმცა არის გარკვეული ნიუანსები, რასაც ანგარიშს ვუწევ. ბებიაჩემი გვმოძღვრავდა: „მოდა ის არის, რაც გიხდება“.

- რომელი ჟანრის ლიტერატურა, მხატვრობა და მუსიკა გიზიდავთ?

- მიყვარს მხატვრული ლიტერატურა, განსაკუთრებით - პოეზია. მხატვრობასა და მუსიკაშიც კლასიკას ვამჯობინებ, თუმცა მომწონს ახალ-ახალი გამონათებებიც - მომავალი კლასიკა. ჩემი დარგიც - ზეპირსიტყვიერება, კაცობრიობის პირველადი საარზოვნო მოდელის - მითოსის დომინანტობითა და, აგრეთვე, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ფოლკლორიც კლასიკად მიმაჩნია და ძალიან ჩემია, სულის ნაწილია.

- სასაფლაო - ჩვენი განსასვენებელი, როგორია ჩვენს რეალობაში და როგორი უნდა იყოს ის?

- ჩემთვის მტკივნეული თემაა, თუმცა, როგორც ქრისტიანს, მიმაჩნია, რომ საფლავი ძალზე სადა, მარტივი უნდა იყოს უმთავრესი ატრიბუტით - ჯვრით. თემატური, სახასიათო ეპიტაფიაც მისაღებია, მაგრამ არა - პოემები საფლავის ქვაზე. თავად სასაფლაო კი - ადგილი სუფთა, მოვლილი, მშვიდი... იქ მისული ჭირისუფლისთვის - გარკვეული სავანეც, რათა შეძლოს საკუთარ გრძნობებთან მარტო დარჩენა, ჩაღრმავება, მედიტაციაც კი...

- ბუნებაში ყველაზე მეტად რა გიზიდავთ?

- ბუნებაში რა მიზიდავს? ვიტყოდი, ყველაფერი, განსაკუთრებით კი ის საოცარი, პირველქმნადობის სიბრძნით აღბეჭდილი ჰარმონია, რაც მასში ჩადო მისმა შემოქმედმა. ვაჟა-ფშაველაზე უკეთ ვერ ვიტყვი და, მოდით, გავიხსენოთ:

ხევი მთას ჰმონებს, მთა - ხევსა,
წყალნი - ტყეს, ტყენი - მდინარეთ,
ყვავილნი - მიწას და მიწა -
თავის აღზრდილთა მცინარეთ
და მე ხომ ყველას მონა ვარ
პირზედ ოფლგადამდინარედ!

სამწუხაროდ, ვერც ვაჟას გავუგეთ... ბუნების არ გვესმის, ვარღვევთ ამ ღვთივკურთხეულ ჰარმონიას... ვარღვევთ და აღარც თავად ახანებს, დამსახურებისამებრ გვბრუნებს პასუხს... მართალია, ვაჟამაც შეგვახსენა, რომ მბრძანებელია ბუნება, „ერთფერად მტვირთველი არის საქმის თეთრის და შავისა“, მაგრამ ბუნების ამ დიდმა მეტრფემაც ვერ დაგმო ბოლომდე: „მაინც კი ლამაზი არის, მაინც სიტურფით ჰყვავისა“. ბუნება, სამყარო, როგორც შოთა რუსთველმა ბრძანა, ღმერთმა გვიბოძა ადამიანებს, „გვაქვს უთვალავი ფერითა“ და უხეშად არ უნდა ჩავერიოთ, ყველა ფერი უნდა შევუნარჩუნოთ, შევიცნოთ, ვეფეროთ, შევირგოთ...

- კოსმოსი...

- მას შემდეგ, რაც შემოქმედმა პირველყოფილი კოსმიური ქაოსი მოაწესრიგა, ქმნა ნათელი, წყალი და ხმელეთი ერთმანეთისაგან გამოყო და თავ-თავისი ადგილი მიუჩინა ყველაფერს, დედამიწას სულ კოსმოსისაკენ გაურბის თვალი... ეს მარადიული სწრაფვა დიდებულად აისახა ცისა და მიწის ერთიანობისა თუ მათი გამიჯვნის თემატიკის მითოსურ ნარატივებში. კოსმოსისადმი ლტოლვა შეუცნობლის შეცნობის, სულიერების ძიების, უნდობარობისაგან გაქცევის, ჰაეროვნებისადმი სწრაფვის გზაა უთუოდ, ზეაპყრობილი ხელებისა და თვალების გზაა მშველელისკენ, სანდო შემწისკენ ცოდვებით დამძიმებული დედამიწიდან... რა დიდებულად ბრძანა ტერენტი გრანელმა: „შენ, დედამიწავ, უფრო მაშინებ, როცა ოცნებით ზეცას მოვიარ...“.

- როცა ხვალინდელ დღეზე ფიქრობთ...

- ბუნებრივია, ბევრს ვფიქრობ ხვალინდელ დღეზე და არც არასოდეს შემპარვია ოდნავი ეჭვიც კი, რომ ხვალ ყველაფერი უკეთ იქნება. კი, მრუმეა აწმყო, არეულია ტყუილ-მართალი, სიკეთე-ბოროტება ვეღარ გამიჯნულა სავარძლების მაძიებელთა მიეთ-მოეთში, ძმამ ძმაზე ხელი აღმართა და რაღა გავაგრძელო, აღმა ფარცხვის მოსურნენი აღარ დაგველია... ეს ყველაფერი მე მაინც ამ გაუთავებელი „გარდამავალი ეპოქის“ ნარჩენები მგონია, შინაურთაგან თუ გარეშეთაგან სისხლგადასხმული... მჯერა ჩვენი ერის გონიერებისა, სიბრძნისა, ერთ პირზე მდგომი ქართველობის მომრევი კი არავინ მეგულება.

ქალბატონი, რომელიც 300-ზე მეტ ძაღლს პატრონობს

ხატია იაშვილი 555 18 48 88

ამ ქალბატონს იქ ნახავთ, სადაც შინაურ ცხოველს უჭირს და ზრუნვა ესაჭიროება, გულო შუტკარაძე-სეჩენიანს ჩვენს ქალაქში ყველა იცნობს. იგი საქართველოს პრეზიდენტის მიერ დაჯილდოებულია მედლით „სამოქალაქო თავდადებისთვის“, ამასთან, არის ტელეკომპანია „იმედის“ პროექტ „იმედის გმირების“ გამარჯვებული, საპატიო შუახეველი, ათი წიგნის ავტორი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ცხოველთა სამყაროს კავშირის“ თავჯდომარე, საქართველოს მწერალთა და მხატვართა კავშირების წევრი, მიღებული აქვს არაერთი სიგელი და მადლობა

ბოლო წლებია, გურიის სოფლებში მიტოვებულ შინაურ ცხოველებსაც პატრონობს. ფიქრობს, რომ ყველაზე მეტი საქმე, ამ მხრივ, გურიაშია. 300-ზე მეტი ძაღლის პატრონს, სახლში 13 ცუგო და 7 კატა ჰყავს. სხვებისგან დახმარებას იშვიათად ითხოვს, ცდილობს, პრობლემა თავად მოაგვაროს. ამისთვის კი დიდი ძალისხმევა სჭირდება, თუმცა გამოსდის, რაც მხოლოდ ერთეულებს ძალუძთ.

- ქალბატონო გულო, რაც მახსოვხართ, მუდამ ცხოველებს ექომაგებით. რამ განაპირობა, რომ თქვენი ცხოვრების უდიდესი დრო მათთვის დაგეთმოთ?

- ცხოველები ყოველთვის მიყვარდა.

სახლშიც ამ საოცარ არსებებს სულ ვზრდიდით. მახსოვს, მე-7 კლასის მოსწავლე ვიყავი, მამაჩემს სამბორბლიანი მოტოციკლეტი ჰყავდა და სახლიდან რომ გავიდა, ჩვენი ოჯახის ძაღლი - ყურშა, გაეკიდა. მეც გავედევნე, მაგრამ დავაგვიანე - ჩემი ყურშა მანქანამ გაიტანა. ძალიან განვიცადე, ბევრი ვიტირე, შემდეგ პატივით მივაბარეთ მიწას. დედას ვთხოვდი, კიდევ მომიყვანეთ ლეკვი-მეთქი. სურვილი ამისრულეს, კიბის ქვეშ სათავსო გვქონდა, დედას ნახევარი ნაწილი „ვაჩუქებინე“ და ჩემს ახალ მეგობარ ბათურას იქ ვზრდიდი. მას შემდეგ დავიფიცე, რომ ცხოველებს დავიცავდი. დღემდე ვასრულებ ამ პირობას. არ მახსოვს, დღეს ისე ჩაევლოს, რომ ძაღლებს მედიკამენტი ან საკვები არ მივუტანო. გასულ წლებში, სადაც კი ვმუშაობდი, ეზოში აუცილებლად ვკვებავდი შინაურ ცხოველებს.

- მართლაც, დიდ საქმეს აკეთებთ. რას ეტყვით იმ ადამიანებს, რომლებიც მხოლოდ გასართობად აღიქვამენ ოთხფეხა მეგობრებს და არა ოჯახის წევრებად და მარტივად შეუძლიათ მათი ქუჩაში მიტოვება?

- სამწუხაროდ, თითქმის 80 პროცენტი ასეა - სახლში მოიყვანენ ჯანმრთელ ლეკვს, გაზრდიან და შემდეგ გაახსენდებათ, რომ ბეწვი აქვს, რომ ბავშვთან არ შეიძლება მისი გაზრდა და პრობლემა ექმნებათ. ჯერ ბავშვივით ათამაშებენ, შემდეგ, როცა გაიზრდება, ქუჩაში ტოვებენ. კასტრაციის გარეშე ისინი ყოველ სამ თვეში მრავლდებიან, თითოეული 7 ლეკვს მაინც ბადებს და წარმოიდგინეთ, რამხელა პრობლემის წინაშე ვდგებით.

- რატომ წახვედით სხვა რაიონში საყვარელი საქმის საკეთებლად?

- კი, დავტოვე ბათუმი, რადგან გურიაში ძალიან ცუდი მდგომარეობაა, ვიფიქრე, რომ აქ უფრო საჭირო ვარ. შევიძინე სოფლად იაფი სახლი და აყვანილი მყავს ქუჩის უსახლკარო ცხოველები, ვუვლი მათ. ქალაქი დავტოვე, რომ ცხოველებს დავხმარებოდი. მყავს 3 ინვალიდი, სულ - 13 მიკედლებული ძაღლი და 7 ფისო. ნამდვილი ცხოველთა დამცველები ძალიან ცოტანი ვართ. თანხებს ნაწილობრივ ყველა ითხოვს. მე ჩემი სახსრებით ვცდილობ პრობლემის მოგვარებას. რაც მაბადია, მათ ვუნაწილებ. როგორც აღვნიშნე, გურიაში ყველაზე ცუდი მდგომარეობაა. ნასაკირალის ტერიტორია არის სასაკლაო. ადამიანების თვითშეგნება იმდენად დაბალია, რომ, ვფიქრობ, ტრენინგს მუდმივად უნდა უტარებდნენ. იქნებ შეიგნონ, რომ არ შეიძლება შინაური ცხოველების მიტოვება. ძაღლი, რომელმაც გიერთგულა, მთელი ცხოვრება შენთან გაატარა და დაბერდა, გარეთ არ უნდა გააგდო. ამაზე დიდი სისასტიკე არ არსებობს. ამ რეგიონს ახლა ძალიან ვჭირდები. ბათუმში გაცილებით კარგი მდგომარეობაა, იქ ტურისტები მაინც კვებავენ ცხოველებს, აქ კი სულ გარეთ აგდებენ.

- რამდენი უპატრონო ძაღლი გყავთ „ნაშვილები“?

- ყოველთვის ნაკლებ ციფრს ვამბობ. 300 ძაღლზე მეტს ვპატრონობ, სახლში, როგორც გითხარით, 13 ძაღლი და 7 ფისო მყავს. ერთი სამფეხაა, საჩხერის ბაზრიდან მომიყვანეს, ორი კი ვერ ხედავს. ერთი თვალებამოთხრილი ჩამომიყვანეს ფოთიდან. საერთოდ არ აქვს თვალები - ახალი წლის დღეებში ბავშვებს ფოიერვერკებით დაუზიანებიათ. ამ პრობლემაზე რომ ვისაუბრო, შორს წაგვიყვანს, რადგან ბავშვების აღზრდას ეხება და აქ გავჩერდები. მშობლებმა შვილებს პატარა ასაკიდანვე უნდა ასწავლონ, ქუჩაში რა შეიძლება და რა - არა. მიუხედავად იმისა, რომ დაასახიჩრეს, საცოდავს არავინ ეპატრონა. მე მოვიყვანე და ვუპატრონე... ისინი ჩემი ოჯახის წევრები არიან.

- როგორც ვიცით, კასტრაციისა და სხვადასხვა აცრის შემდეგ უსახლკარო ცხოველებს ისევ იმ ადგილას აბრუნებთ, საიდანაც წამოიყვანეთ, თუნდაც კლიმატური პირობები გაუსაძლისი იყოს. რატომ?

- თავშესაფარში მოყვანილი ცუგები, ძირითადად, სხვადასხვა რეგიონიდან არიან. მათ სტერილიზაცია, კასტრაცია უტარდებათ, რომ არ გამრავლდნენ, ყურზე კი სანომრე ნიშნები უკეთდებათ, რაც მიუთითებს, რომ ცუგა აცრილია და არაა საშიში საზოგადოებისათვის. მერე იმიტომ ვაბრუნებთ იმავე ადგილას, საიდანაც წამოვიყვანეთ, რომ ისინი ადაპტირებული არიან იმ გარემოსთან. მთავარია, ძაღლი გამოკვებილი იყოს. ისინი, ჯიშიანი ძაღლებისგან განსხვავებით, ყოველგვარ კლიმატურ პირობას უძლებენ, მხოლოდ საკვების გარეშე უძლურდებიან. ქუჩაში ძალიან ბევრი ჯიშიანი ძაღლიცაა. სამწუხაროდ, ისინი მალე იღუპებიან, რადგან სახლში სითბოს და დივანზე კოტრიალს არიან მიჩვეულები.



- რაც შეეხება საქართველოს კანონს შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ, როგორ მოგწონთ და რას შეცვლიდით მასში?

- კანონპროექტი გასული წლის 1 ივლისიდან ამუშავდა. კარგია, მივესალმები, მაგრამ მთავარია, შესრულდეს, რაც, სამწუხაროდ, არ ხდება. ეს კანონი რომ დავიცვათ, უამრავი ადამიანი დაჯარიმდება, ზოგი ციხეშიც მოხვდება. რეალობა კი ისაა, რომ კანონპროექტი ქაღალდზეა დარჩენილი. მასში ბევრი ისეთი პუნქტია, რომელსაც არ ვეთანხმები. მაგალითად, ძაღლის ყეფაზე ჯარიმა სასაცილოა. ძაღლმა უნდა იყეფოს, ამაზე მეზობელმა როგორ უნდა მიჩივლოს?! აბა, კატა ხომ არ დაიყეფებს?! სამწუხაროდ, ისე დავბერდი, არ გვეღირსა ნორმალური კანონი. ადრე ცხოველთა დამცველი პოლიციის ჩამოყალიბებას ვითხოვდი. კარგი იდეაა, მაგრამ არავინ გაითვალისწინა. ეს საწყენია.

- წინა თვეს როგორ გაუმკლავდით დიდთოვლობას? ვინ დაგეხმარათ?

- გურიაში 20 თებერვალს ამოვედი. ბათუმში რომ დავრჩენილიყავი, ალბათ ჩემი ცხოველები დაიღუპებოდნენ, რადგან დიდთოვლობის გამო გადაადგილება შეიზღუდა. აქ ცხოველების გამოსაკვებად თბილისელმა ქალბატონმა მაია ცერცვაძემ ყველა მოხალისეს 300-300 ლარი დაურიცხა ცხოველების საკვებისთვის და ასე გადარჩნენ ჩვენი ოთხფეხა მეგობრები. ჩემს ეზოშიც ჩამოინგრა ძაღლების სახლი და პოსტი დავწერე, რომ დამხმარებოდნენ - გასაკეთებელი საქმე უკვე ჩემს ძალებს აღემატებოდა. მოვიდნენ მოქალაქეები, რომლებმაც ცუგების სახლები გადამითოვლეს, გზა გამიკვალეს. ისინი რომ წავიდნენ, კიდევ მოთოვა და ცხოველები სახლში შემოვიყვანე. მხოლოდ პაწკუ, ჭეკა და ლოლა დარჩნენ გარეთ. ასე ერჩივნათ. დღეს, ღმერთს მადლობა, კარგად ვართ. მათთვის საკვები ბათუმიდან მომაქვს. საქონლის ფილტვებს ლარად ვყიდულობ. საბედნიეროდ, ხორცის ანათლებს მჩუქნიან. ამისათვის დილის 6 საათზე ვდგები, შემდეგ მოტანილ პროდუქტს ვხარშავ, კონტეინერში ვალაგებ და ძაღლებს ვკვებავ. ორი ადამიანია, ვინც „კორმით“ ძალიან მეხმარება - თემურ ლაჭყეპიანი და ტატანა გურგენიძე. სამწუხაროდ, სახელმწიფო ერთი თეთრითაც არ დამხმარებია. ყველაფერს მოწყვეტილი ვარ, სადაც უნდა წავიდე, მათზე ვფიქრობ.

- ცხადია, ძალიან ეხმარებით უსახლკარო ცხოველებს, მაგრამ არის ალბათ პრობლემები, რომლებსაც ფინანსების გამო ვერ უმკლავდებით...

- ჩემი პრობლემა ისაა, რომ მინდა, ქუჩაში უპატრონო ძაღლი არ იყოს. ამაზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს. ყველა შინაურ ცხოველს სახელმწიფომ უნდა ჩაუტაროს უფასო სტერილიზაცია-კასტრაცია. ყველა რეგიონსა და სოფელში ეს აუცილებელია. მოსახლეობას ამ კუთხით სახელმწიფო უნდა დაეხმაროს. ქუჩაშიც ნაკლები ძაღლი იქნება. ამ მომსახურებაზე ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს წვდომა. უნდა აღიწეროს, რამდენი ძაღლია, დაიჩიპოს. მთავარი ჩიპია, იქ ძაღლის პერსონალური მონაცემებია დატანილი - მისამართი, სახელი, პატრონი... ძვირია, მაგრამ უნდა გაიღოს სახელმწიფომ ამისათვის ხარჯები. ესაა ძირითადი პრობლემა, რომლის გადაწყვეტა ძალიან ბევრ ხარვეზს აღმოფხვრის.

- მადლობა ამ საინტერესო საუბრისთვის. დაბოლოს - უახლოესი გეგმები...

- ბევრი რამ მაქვს დაგეგმილი, პირველი მაინც ცხოველების დაჩიპვაა. იმედს ვიტოვებ, რომ ყველაფერი მოგვარდება. სკოლებში ტრენინგებს ვატარებ. ბავშვებს ვასწავლი ცხოველებზე ზრუნვას. მათთან ხშირი საუბარი აუცილებელია. პატარაობიდან უნდა იცოდნენ, უსახლკარო ძაღლებს როგორ მოუარონ. ეს სამომავლოდ აუცილებლად გამოგვადგება.

„საქართველო მაქსიმალურად უნდა შეეცადოს, არ ამოვარდეს საერთაშორისო მოცემულობიდან“

მე-3 გვერდიდან

2008 წლის აგვისტოს ომის გამოცდილებაც. საქართველომ ვერ მიიღო საკმარისი დახმარება რუსეთთან ომის დროს, დასავლურ ქვეყნებს ეკონომიკური სანქციებიც კი არ დაუწესებიათ რუსეთისთვის და მოკლე დროში მასთან დაიწყეს „გადატვირთვის პოლიტიკა“. ამ ომის შემდეგ, 2009 წლის 9 მაისს, მოსკოვში, წითელ მოედანზე, კრემლის წინ, ფაშიზმზე გამარჯვების აღლუმში, რუსულ ჯართან ერთად, მონაწილეობდნენ უკრაინული, პოლონური, ბრიტანული, ფრანგული და სხვა ევროპული ქვეყნების შეიარაღებული ძალები...

- რამდენადაა შესაძლებელი ომის უახლოეს ვადებში დასრულება და რა ეფექტი ექნება ამას საქართველოსთვის?

- ომი მოკლე ვადაში ვერ დასრულდება, თუმცა უკრაინის მთავარი დონორი აშშ აქტიურ ნაბიჯებს დგამს. მიღწეულია შეთანხმება უკრაინასთან და შედეგი აუცილებლად გამოჩნდება, თუმცა ეს უკრაინისა და ევროკავშირისთვის იქნება ძალიან მძიმე. უკრაინას მოუწევს ტერიტორიების დათმობა, არჩევნების ჩატარება და ნატოში გაწევრიანებაზე უარის თქმა. ის დაკარგავს საკუთარ ბუნებრივ რესურსებზე წვდომასაც კი. ათწლეულები დასჭირდება უკრაინის დანგრეული დასახლებების აღდგენას, ამ ქვეყნის განაღმვას, მისი ეკონომიკის დაბრუნებას ომამდელ ნიშნულამდე. რაც შეეხება საქართველოსა და მსოფლიო ეკონომიკურ სისტემას, ომის დასრულებას ექნება დადებითი ეფექტი, რადგან ნებისმიერი ამ მასშტაბის სამხედრო მოქმედება დიდ ზიანს აყენებს მთელი მსოფლიოს ეკონომიკას. თუ როგორ მივიდა უკრაინა რუსეთთან ფართომასშტაბიან დაპირისპირებამდე და შემდეგ როგორ დარჩა დაუცველი, მორიგი გაკვეთილია საქართველოსთვის. ჩვენ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ ისეთ თემებთან, რომლებიც მსოფლიო ჰეგემონობისკენ მსწრაფი და რეგიონალური ლიდერობისთვის მებრძოლი დიდი ქვეყნების ინტერესებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. საქართველო მაქსიმალურად უნდა შეეცადოს, არ ამოვარდეს საერთაშორისო მოცემულობიდან და ლავირების, ბალანსირების პოლიტიკით აწონასწორებდეს დიდ მოთამაშეებს. ეს ასეც ხდება. ამგვარი საგარეო პოლიტიკა მიგვიყვანს განვითარებამდე, წარმატებებამდე.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომძიებელი რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეროძის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 20/03/25, 19 05 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„სილამაზე – ჩარჩოების გარეშე“

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტმა ფოტოგამოფენას „სილამაზე - ჩარჩოების გარეშე“ უმასპინძლა. პროექტი, რომელიც 2024 წლის ზაფხულში დაიწყო, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაცია „SHUTTLE“-ის პიროვნული განვითარების პროგრამის „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება გენდერული ძალადობის დაძლევისა და გენდერული თანასწორობისთვის“ ერთ-ერთი ნაწილია. იგი სოციალური პროექტის იდეის შექმნასა და განხორციელებას ითვალისწინებს

პროექტის იდეის ავტორების რუსო შერვაშიძის და ირმა კილაძის განმარტებით, შშმ პირთა მშობლები ხშირად თვითრეალიზების ძიებაში არიან. ერთ-ერთ პროექტში, სახელწოდებით „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება გენდერული ძალადობის დაძლევისა და გენდერული თანასწორობისთვის“, გაჩნდა იდეა - დიდი ხნის ჩანაფიქრი, შემოთავაზებული სოციალური პროექტის ფარგლებში, განხორციელებინათ და მოეწყოთ ფოტოსესია, რომლის კონცეფცია იქნებოდა დედა-შვილის ინდივიდუალური ისტორია-დამოკიდებულება.

- დედა-შვილის ურთიერთობის ასახვა ფოტოში დიდი ხანია გვსურდა, ამიტომ ვისარგებლეთ შემთხვევით - მე და რუსო შერვაშიძე დავთანხმით პროექტის „სილამაზე - ჩარჩოების გარეშე“ განხორციელებას. სახელწოდება შემთხვევით არ შეგვირჩევია. გვსურდა დაგვემტკიცებინა, რომ სილამაზე ყველანაირ სტერეოტიპს სცილდება. ფოტოებით დედა-შვილის ურთიერთობა მაქსიმალურად რეალურად გვინდოდა, აგვესახა. პროექტი ინკლუზიური მიმართულების იყო და შშმ პირებიც ჩავრთეთ. ბოლო ეტაპი ეს ფოტოგამოფენაა, რომელშიც ჩაერთნენ ფოტოგრაფი დადუ გაბაიძე, დიზაინერი მარი ხინკილაძე, ვიზაჟისტი ნათია მსხალაძე. მთელი პროექტის განმავლობაში პროექტზე მუშაობდა ჟესტური ენის სპრეციალისტიც, ერთი სიტყვით, შევეცადეთ, მონაწილეებისთვის მაქსიმალურად კომფორტული გარემო შეგვექმნა და მგონი გამოგვივიდა კიდეც. მომავალში პროექტის გაგრძელების სურვილი ნამდვილად გვაქვს, მაგრამ დღეს არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, პროგნოზის გაკეთება გვიჭირს. გვაქვს სხვა საინტერესო იდეაც, ვიმედოვნებთ, უახლოეს მომავალში მასაც აუცილებლად განვახორციელებთ, - გვითხრა პროექტის იდეის ავტორმა ირმა კილაძემ.

- შარშან, SHUTTLE-ის პიროვნული განვითარების ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებდა სოციალური პროექტის იდეას, ირმა კილაძეს, SHUTTLE-ის ერთ-ერთ მონაწილესა და ჩემს მეგობარს, გაუჩნდა იდეა, რომლის განხორციელებასაც ერთად შევუდექით. იქიდან გამომდინარე, რომ SHUTTLE მონაწილეთა უმრავლესობა გახლდით შშმ პირთა მშობლები, იდეის მიზანი საზოგადოების ცნობიერების გაზრდა იყო, ძირითადი კონცეფცია კი დედისა და შვილის პერფორმანსი ფოტოსესიის სახით. პროცესი რომ უფრო საინტერესო ყოფილიყო, პროექტში ჩავრთეთ დიზაინერი მარი ხინკილაძე და მეიქაფ-არტისტი ნათია მსხალაძე, რომლებიც მონაწილეებთან ინდივიდუალურად იმუშავებდნენ. პროცესი ყველასთვის ძალიან შთამბეჭდავი აღმოჩნდა. ბევრი ბავშვის დედიკოს გაუჩნდა სურვილი, ჩართულიყო პროექტში. სამწუხაროდ, მცირე ბიუჯეტმა მეტის საშუალება არ მოგვცა. იმედი მაქვს, მსგავსი იდეების განხორციელების საშუალება ისევ მოგვეცემა, - გვითხრა რუსო შერვაშიძემ.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, 27 დედა-შვილის ისტორია და მათი ხასიათები ფოტოებით წარმოაჩინა პროფესიით ჟურნალისტმა დადუ გაბაიძემ. ის ამ პროექტზე ორი თვის განმავლობაში დაუღალავად მუშაობდა. როგორც ამბობს, მისთვისაც დიდი გამოწვევა იყო და ბედნიერია, რომ საოცარი და დაუვიწყარი წამების აღბეჭდვა შეძლო.

- პროექტი, რომელზეც ბოლო ორი თვე ვმუშაობდით, დასრულდა. ჩემთვის ეს უდიდეს პასუხიმგებლობასთან იყო დაკავშირებული... იყო ემოციები, ნერვიულობა, სიხარულის ცრემლები. რასაც გასცემ, ის გაასმაგებულად არ დაგიბრუნდეს, უბრალოდ, შეუძლებელია. ამიტომ ვამბობ ხშირად და ისევ განვმეორდები, სიყვარულზე, მადლიერებაზე დიდი ბედნიერება არ მეგულება. ყველას დიდი მადლობა დღევანდელი დღისთვის, „სილამაზე - ჩარჩოების გარეშეა“ ნამდვილად და ეს დავინახეთ ამ ფოტოებიდანაც. ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერება ამ ფოტოების ნახვისას ჩემი ფოტოგმირების თვალებში დანახული აღტაცებაა, - გვითხრა დადუ გაბაიძემ.

ფოტოგამოფენის ორგანიზატორების განცხადებით, „SHUTTLE Batumi“-ში სამი თვის განმავლობაში ჩართულობამ ბევრი საინტერესო ადამიანი წარმოაჩინა, რომლებმაც პროექტში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს. მათი თქმით, შშმ პირების პარალელურად, პროექტში, SHUTTLE-ის პროგრამების მონაწილე ადგილობრივი მეწარმე ქალიც ჩაერთო.

- ჭეშმარიტი სილამაზე თავისუფალია სტერეოტიპებისგან, მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების გაზრდა ამ საკითხზე. პროექტი ითვალისწინებდა შშმ პირთა და მათი ოჯახის წევრების პერფორმანსს ფოტოსესიის სახით, რომლის მთავარი მესიჯია „სილამაზე ჩარჩოების გარეშე“. მონაწილეებს გადავუღეთ პროფესიონალური თემატური ფოტოები. ვინაიდან ეს აქტივობა ითვალისწინებს ინკლუზიურ მიმართულებას, ფოტოსესიის მონაწილეები იყვნენ როგორც შშმ

პირები, ასევე, მათი ოჯახის წევრები. ორი თვის მანძილზე ვზრუნავდით მათ ხასიათზე, განწყობასა და სილამაზეზე, შევეცადეთ, მათთვის მაკიაჟის გაკეთების პროცესიც სასიამოვნო ყოფილიყო და მგონი გამოგვივიდა კიდეც. ყველაფერს მადლიერ თვალებში ვკითხულობთ. პროექტი შედგა, რაც ძალიან გვახარებს, - თქვა ჩვენთან საუბარში ვიზაჟისტმა ნათია მსხალაძემ.

ღონისძიების ბოლოს პროექტის მონაწილეებს დიდ ფორმატზე დაბეჭდილი ფოტოები და დიზაინერ მარი ხინკილაძის პროექტისთვის შექმნილი აქსესუარები საჩუქრად გადაეცათ.

ნაქარგებში გაცოცხლებული ტრადიცია

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

ქარგვა აჭარაში მცხოვრები ქალბატონებისთვის ჰობიცაა და კულტურული ტრადიციაც. ადრე აქაურ პატარძალს მზითვში ატანდნენ ნაქარგებს. დროთა განმავლობაში ეს ტრადიცია დავიწყებას მიეცა, თუმცა დღეს აჭარულმა ნაქარგებმა კულტურული ძეგლის სტატუსი მოიპოვა და თანამედროვეობასაც კარგად შეერწყა

ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი ***მზევინარ ირემაძე*** *ბავშვობიდან ქარგავს და წინაპრების ტრადიციას აგრძელებს.*

- გახსოვთ თქვენი პირველი ნამუშევარი?

- 8 წლიდან ვქარგავ. ბებია რომ ქარგავდა, ვუყურებდი და ასე ვისწავლე. თავიდან მოყვარულის დონეზე ვქარგავდი, შემდეგ გადავწყვიტე, ჩემი ინტერესი შემოსავლის წყაროდ მექცია. პირველი ნამუშევარი სკოლასთან ასოცირდება. ბებიას აჭარული ორნამენტი ვასწავლებინე და სკოლაში შრომის გაკვეთილზე წავიღე.

- რომელი ტექნიკა ან სტილი გიყვართ ყველაზე მეტად და რამდენად იყენებთ წინაპრების ქარგვის ნიმუშებს?

- მიყვარს ქარგვაცა და ქსოვაც. მეტწილად, წინაპრების ნიმუშების მიხედვით ვქარგავ და ამით ვცდილობ, შევინარჩუნო ჩვენი უძველესი ქარგვის ნიმუშები, ამავდროულად კი თანამედროვეობაში გადმოვიტანო.

- გაქვთ საკუთარი ხელწერა?

- სამზარეულოს ფარდაგებზე, შარფებზე, ქუდებზე, ჩანთებზეც კი ძველი ორნამენტებით ვქარგავ და თანამედროვეობას სიძველესაც ვუხამებ. ვფიქრობ, სხვებისგან ეს გამომარჩევს.

- ეს ხელსაქმე თითქმის მივიწყებული იყო, თუმცა ბოლო დროს, ღორჯომელი ქალების მონდომებით, ახალგაზრდებიც დაინტერესდნენ...

- ეს მხოლოდ ჩემი დამსახურება არაა, მშობლები შვილებს წინაპრების საქმიანობის სიყვარულს ასწავლიან, უხსნიან მათ, რამხელა შრომაა ჩადებული იმაში, რომ ეს საქმე დღემდე ასე ამაყად მოსულიყო. ჩვენ შევძელით და ყველამ ერთობლივად გამოვაცოცხლეთ ჩვენი კულტურა და ტრადიცია. ამაში დიდი როლი ითამაშა კულტურის სამინისტრომ, რომელმაც აჭარულ ნაქარგობას ძეგლის სტატუსი მიანიჭა.

- როგორ ირჩევთ ფერებსა და ნიმუშებს?

- მიყვარს მკვეთრი, კაშკაშა ფერები, რომლებიც სიცოცხლეს მატებენ ნამუშევარს. საზოგადოებაც უფრო ნათელი ფერებით ინტერესდება. ვფიქრობ, ნაქარგზე ნათელი ფერები ბედნიერების გამომხატველია.

- რამდენი დრო სჭირდება ერთი ნამუშევრის შექმნას?

- დრო ნამუშევრის ზომისა და ნაქარგის სიხშირის მიხედვით განსხვავებულია. ზოგი ნამუშევრის დასასრულებლად თვეც კი დამჭირვებია.

- მონაწილეობთ თუ არა გამოფენებში?

- ხშირად ვმონაწილეობ „განდაგანის ფესტივალში“, შარშან, ზაფხულში, შეკვეთილის გამოფენაში მონაწილეობა 6-ჯერ მივიღე. ასევე, შარშან ოზურგეთის მერიამ მიმიწვია. ვმონაწილეობდი თბილისში სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ გამართულ გამოფენაში.

- როგორ ფიქრობთ, შეიცვალა თუ არა ქარგვის დანიშნულება დროთა განმავლობაში?

- ამ შეკითხვაზე ასე გიპასუხებთ: ადრე მქარგველი მხოლოდ ის პატარძალი იყო, რომელსაც ოთახები უნდა გაელამაზებინა საკუთარი ნამუშევრებით, დღეს კი ხელოვანია.

- ხელით ქარგვასა და მანქანით ქარგვას შორის რომელს ანიჭებთ უპირატესობას?

- მანქანით ნაქარგი ცუდი არაა, მაგრამ... ზედმეტად იოლია. შემიძლია, მანქანით ორმეტრიანი ფარდაგი სამ დღეში დავასრულო, ხოლო ხელით ტრადიციული ორმეტრიანი ნაქარგის შესაქმნელად თვეები მჭირდება. ის, რასაც ხელით ვქმნი, ხელოვნებაა.

- თქვენ საკუთარ სახლში ატელიე გახსენით, სადაც რამდენიმე ღორჯომელი ქალბატონია დასაქმებული...

- ორგანიზაცია „კარიკასი“ დამეხმარა. ამ ორგანიზაციაში სამკერვალოს გახსნასთან დაკავშირებით პროექტი წარვადგინე და დამაფინანსეს. ვიყიდე საუკეთესო საკერავი მანქანები და დავასაქმე ქალბატონები, რომლებიც ქარგვითა და კერვით იყვნენ დაინტერესებულნი.

- რამდენი ქალია დასაქმებული?

- დღესდღეობით 6 მყავს დასაქმებული, რომლებსაც საკუთარი ნაქარგების ონლაინ და ასევე გამოფენებზე გაყიდვაში ვეხმარები.

- თქვენი საქმის განვითარებისთვის ამ ეტაპზე ყველაზე მეტად რა გჭირდებათ?

- მჭირდება ბათუმში პატარა ფართი, სადაც ყოველდღე იქნება გამოფენილი ჩვენი ნამუშევრები. ამით საზოგადოებასა და ბევრ ტურისტს ექნებოდათ შესაძლებლობა, გასცნობოდნენ და ადგილზე შეეძინათ ნამუშევრები. ჩემთვის ბევრ გიდს უთქვამს, რომ ყველა მოიყვანდა ტურისტს ჩვენი ნამუშევრების სანახავად. გარდა ამისა, უფრო მეტი ქალიც დასაქმდებოდა.

- თქვენ დაამტკიცეთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს და ადამიანი თუ მოინდომებს, ყველაფერს შეძლებს.

- ნამდვილად. მთავარია, მოინდომო და ყველაფერი გამოგივა. შემიძლია ბევრი ქალის და შშმ პირის მაგალითი ვიყო.

- როგორ ხედავთ თანამედროვეობაში ტრადიციული ქარგვის განვითარებას?

- დროს ფეხი რომ ავუწყოთ, ამიტომ გადავიტანე თანამედროვე ტანისამოსზე ჩვენი წინაპრების ნაქარგების ნიმუშები.

- თქვენი ყველაზე დიდი ოცნება...

- შევქმნა საკუთარი ბრენდი და... გავხსნა პატარა საგამოფენო სივრცე ბათუმში.